განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ ახალგაზრდობის
სააგენტო

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ
ახალგაზრდობის სააგენტო

„სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-ის” 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში

თბილისი

2024

სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო
მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი № 76ბ, თბილისი
ტელეფონი: (+995 32) 230 51 65
ვებ-გვერდი: https://youthagency.gov.ge/
ელ-ფოსტა: info@youthagency.gov.ge

სარჩევი

მოკლე შეჯამება....4
შესავალი....6
ზოგადი პროგრესი....8
დეტალური პროგრესი თითოეულ ამოცანასთან მიმართებაში....19
გამოწვევები და რეკომენდაციები....51

მოკლე შეჯამება

წინამდებარე ანგარიში ასახავს სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-ის 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესს 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით. ის მოიცავს ინფორმაციას, 2023 წლის იანვარი-დეკემბრის პერიოდში, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს კოორდინაციით, სხვადასხვა პასუხისმგებელი უწყების მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ და წარმოადგენს რიგით პირველ წლიურ ანგარიშს.

ანგარიშის მიზანს წარმოადგენს, სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგიის 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებული პროგრესის გამოვლენა, ამოცანების შედეგის ინდიკატორებთან მიმართებით შესრულების გამოწვევების იდენტიფიცირება, სტრატეგიით განსაზღვრული ხუთი მიზნის ფარგლებში.

2023 წლის სამოქმედო გეგმის ზოგადი განხორციელების დონე შეადგენს **61%-ს.** 2023 წლის იანვარი-დეკემბრის მდგომარეობით, **139** აქტივობიდან სრულად განხორციელდა **66 აქტივობა (48%), 13 აქტივობა (9%)** განხორციელდა მეტწილად, **23 აქტივობა (17%)** განხორციელდა ნაწილობრივ, **34 აქტივობა (24%)** არ დაწყებულა, ხოლო **3 აქტივობა (2%)** გაუქმდა.

სტრატეგიის 16 ამოცანის ფარგლებში დაგეგმილმა აქტივობებმა განხორციელების პროგრესის განსხვავებული მაჩვენებლები გამოავლინა. ამოცანების ჭრილში განხორციელების პროგრესის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა **ამოცანა 2.1-ის** (ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა), **ამოცანა 2.4-ისა** (ახალგაზრდების მიმართ და ახალგაზრდების მიერ ჩადენილი ძალადობისა და ანტისოციალური ქცევის, მათ შორის დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა) და **ამოცანა 4.6-ის** (საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების შესაბამისი პროგრამებისა და სერვისების განვითარება) შემთხვევაში. ყველა მათგანი 100%-ით შესრულდა.

ხოლო, განხორციელების პროგრესის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა **ამოცანა 2.2-ისა** (ახალგაზრდების ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება) და **ამოცანა 2.5-ის** (ბავშვთა/ადრეული ქორწინებებისა და მოზარდთა ორსულობის წინააღმდეგ ბრძოლა) შემთხვევაში, რომლებიც შესაბამისად 25% და 18%-ით შესრულდა.

მიზნების ჭრილში, სტრატეგიის 5 მიზნის ფარგლებში დაგეგმილმა აქტივობებმა განხორციელების პროგრესის განსხვავებული მაჩვენებლები გამოავლინა. განხორციელების პროგრესის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (70%) დაფიქსირდა **მიზანი 1-ისა** (ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის გამოვლენის ხელშეწყობა) და **მიზანი 4-ის** (ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ და დემოკრატიულ პროცესებში) შემთხვევაში, ხოლო ყველაზე დაბალი (30%) განხორციელების დონე **მიზანი 5-ის** (ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის სისტემის გაუმჯობესება) შემთხვევაში დაფიქსირდა.

აღსანიშნავია, რომ შვიდმა სახელმწიფო უწყებამ 100%-ით განახორციელა თავიანთი პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული აქტივობები. ეს უწყებებია: საქართველოს რეგიონული

განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (7 აქტივობა), საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო (2 აქტივობა), საქართველოს პროკურატურა (3 აქტივობა), საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო (4 აქტივობა), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (2 აქტივობა), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (1 აქტივობა) და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური (2 აქტივობა).

6 თვიანი ანგარიშის მსგავსად, შედარებით ნაკლები პროგრესი აჩვენა სსიპ ახალგაზრდობის სააგენტომ (46%) და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ (23%), თუმცა, ამასთანავე, ეს ორი უწყება პასუხისმგებელი იყო აქტივობების ყველაზე დიდ წილზე, შესაბამისად 60 და 23 აქტივობაზე.

საბოლოო ჯამში, განხორციელებული და განხორციელების პროცესში მყოფი აქტივობების შედეგების საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესაბამისი აქტივობების დიდი ნაწილი შესრულდა დადგენილ ვადებში და განსაზღვრული მოცულობით.

ხოლო, მთავარი გამოწვევა, რაც სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგიის 2023 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელებას უკავშირდება არის სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის უწყებათაშორისი საბჭოს და მასთან ერთად სამდივნოს არარსებობა. შედეგად, ჩნდება უწყებებს შორის კოორდინაციის პრობლემა, რაც საბოლოო ჯამში სამოქმედო გეგმის შესრულებაზე უარყოფითად აისახება. რეკომენდირებულია, რომ უწყებებმა გააძლიერონ ძალისხმევა მონაცემების შეგროვების, აქტივობების დროულად დაგეგმვისა და რესურსების მობილიზების მხრივ, აუცილებელია ამ მიმართულებით უწყებათაშორისი საკოორდინაციო მექანიზმის შექმნა და გაძლიერება.

შესავალი

სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის მთავარ მექანიზმს წარმოადგენს სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023- 2026 და მისი შესაბამისი სამოქმედო გეგმები.

სახელმწიფო ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდებთან ერთად ქმნის მათი, როგორც ინდივიდებისა და საზოგადოების სრულფასოვანი წევრების განვითარების მხარდამჭერ გარემოს, რაც ხელს შეუწყობს თითოეულის პოტენციალის სრულად გამოყენებას, ეკონომიკურ გაძლიერებასა და ქვეყნის განვითარების პროცესში აქტიურ მონაწილეობას. სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026 სწორედ აღნიშნული მიზნის მიღწევას ემსახურება.

საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს, როგორც მაკოორდინირებელ უწყებას, დაევალა ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტების (სტრატეგია, სამოქმედო გეგმა) შემუშავება და საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენა, კონცეფციით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად. შესაბამისად, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს კოორდინირებით შემუშავდა და, 2022 წლის 29 დეკემბერს საქართველოს მთავრობის N606 დადგენილებით, დამტკიცდა „სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-” და მისი 2023 წლის სამოქმედო გეგმა.

სტრატეგიით განსაზღვრულია **5 მიზანი:**

1. ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის გამოვლენის ხელშეწყობა;
2. ახალგაზრდების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაძლიერება;
3. ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება;
4. ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ და დემოკრატიულ პროცესებში;
5. ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის სისტემის გაუმჯობესება.

და **16 ამოცანა:**

1. ამოცანა 1.1 არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა;
2. ამოცანა 2.1 ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა;
3. ამოცანა 2.2 ახალგაზრდების ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება;
4. ამოცანა 2.3 ახალგაზრდებში ქიმიური და ქცევითი დამოკიდებულების დონის შემცირება;

5. ამოცანა 2.4 ახალგაზრდების მიმართ და ახალგაზრდების მიერ ჩადენილი ძალადობისა და ანტისოციალური ქცევის, მათ შორის დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა;
6. ამოცანა 2.5 ბავშვთა/ადრეული ქორწინებებისა და მოზარდთა ორსულობის წინააღმდეგ ბრძოლა;
7. ამოცანა 2.6 ახალგაზრდების/ბავშვთა პერსონალური მონაცემების დაცვის გაუმჯობესება;
8. ამოცანა 3.1 ახალგაზრდების ხარისხიანი და ღირსეული დასაქმების ხელშეწყობა;
9. ამოცანა 3.2 ახალგაზრდული მეწარმეობის გაძლიერება;
10. ამოცანა 4.1 ახალგაზრდებში სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაძლიერება;
11. ამოცანა 4.2 მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა;
12. ამოცანა 4.3 გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა;
13. ამოცანა 4.4 ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების მხარდამჭერი მექანიზმების განვითარება;
14. ამოცანა 4.5 ნაკლები შესაძლებლობის მქონე, შშმ ახალგაზრდების, ასევე ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების საჭიროებებზე მიმართული პროგრამების და სერვისების განვითარება;
15. ამოცანა 4.6 საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების შესაბამისი პროგრამებისა და სერვისების განვითარება;
16. ამოცანა 5.1 ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავების მხარდაჭერა

წინამდებარე დოკუმენტი წამოადგენს სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-ის 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიურ ანგარიშს (იანვარი-დეკემბერი). ანგარიშის მიზანია ამოცანების განხორციელების დონის შესახებ შემაჯამებელი ინფორმაციის წარმოდგენა. წლიური ანგარიში მომზადდა სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ, საქართველოს მთავრობის N629 დადგენილებით დამტკიცებული „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ შესაბამისად, სტრატეგიის განმახორციელებელი უწყებებისაგან მოწოდებული სტატუსანგარიშების საფუძველზე (იხ. დანართი 1 - კონსოლიდირებული სტატუსანგარიში).

ზოგადი პროგრესი

წინამდებარე ანგარიში ასახავს სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-ის 2023 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების მხრივ არსებულ მდგომარეობას. ის აანალიზებს იმას, თუ რამდენად სრულდება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები პასუხისმგებელი უწყებების მიერ, ასევე ასახავს განხორციელების დონეს ამოცანების პერსპექტივაში და გამოყოფს საუკეთესო და ყველაზე საგანგაშო სფეროებს ამოცანების შესაბამისად. ანგარიში არ შეეხება სტრატეგიის მიზნებისა და გავლენის მიღწევის ანალიზს, რომელიც შუალედური და საბოლოო შეფასების ამოცანაა.

სტრატეგიის ფარგლებში განსაზღვრული **5** მიზნისა და **16** ამოცანის შესაბამისად, 2023 წლის სამოქმედო გეგმაში განისაზღვრა **139** აქტივობა. აქედან, აქტივობების **13%-ის (18 აქტივობა)** განხორციელება უნდა დასრულებულიყო 2023 წლის I და II კვარტალში, **2%-ის (3 აქტივობა)** განხორციელება უნდა დასრულებულიყო III კვარტალში, ხოლო **85%** (118 აქტივობა)- IV კვარტალაში.

<u>პროგრესი აქტივობების დონეზე</u>

2023 წლის სამოქმედო გეგმის ზოგადი განხორციელების დონე შეადგენს **61%-ს.**

არსებული მდგომარეობით, **139** აქტივობიდან:

- სრულად განხორციელდა- **66 აქტივობა (48%)**
- მეტწილად განხორციელდა-**13 (9%)**
- ნაწილობრივ განხორციელდა-**23 (17%)**
- არ დაწყებულა- **34 (24%)**
- გაუქმდა- **3 (2%)**

აღსანიშნავია ისიც, რომ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების საკმაოდ დიდ ნაწილზე, კერძოდ 139 აქტივობიდან 60 აქტივობის (29%) განხორციელებაზე პასუხისმგებელი იყო სტრატეგიის მაკოორდინირებელი უწყება- სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო. I და II კვარტალში ყველაზე დიდი ადამიანური და ფინანსური რესურსი გამოიყო სააგენტოს ყველაზე მასშტაბური პროექტის- შაორისა და ანაკლიის ახალგაზრდული ბანაკების განხორციელებაზე, რომელმაც ჯამში 3000-მდე ახალგაზრდას უმასპინძლა. შესაბამისად, მიმდინარე წლის III და IV კვარტალში ყურადღება დაეთმო იმ აქტივობების განხორციელებას, რომლებიც ახალგაზრდულ ბანაკებთან შედარებით ნაკლებ დროსა და ადამიანურ თუ ფინანსურ რესურს საჭიროებდა.

დიაგრამა № 1. აქტივობების რაოდენობა და შესრულების სტატუსი



<u>პროგრესი ამოცანებისა და მიზნების დონეზე</u>

სტრატეგიის 16 ამოცანის ფარგლებში დაგეგმილმა აქტივობებმა განხორციელების პროგრესის განსხვავებული მაჩვენებლები გამოავლინა. ამოცანების ჭრილში განხორციელების პროგრესის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა **ამოცანა 2.1-ის** (ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა), **ამოცანა 2.4-ისა** (ახალგაზრდების მიმართ და ახალგაზრდების მიერ ჩადენილი ძალადობისა და ანტისოციალური ქცევის, მათ შორის დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა) და **ამოცანა 4.6-ის** (საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების შესაბამისი პროგრამებისა და სერვისების განვითარება) შემთხვევაში. ყველა მათგანი 100%-ით შესრულდა. ასევე, განხორციელების მაღალი დონე დაფიქსირდა **ამოცანა 4.5-ისა** (ნაკლები შესაძლებლობის მქონე, შშმ ახალგაზრდების, ასევე ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების საჭიროებებზე მიმართული პროგრამების და სერვისების განვითარება) და **ამოცანა 4.1-ის** (ახალგაზრდებში სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაძლიერება) შემთხვევაში, რომლებიც შესაბამისად 92% და 91%-ით შესრულდა.

ხოლო, განხორციელების პროგრესის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა **ამოცანა 2.2-ისა** (ახალგაზრდების ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება) და **ამოცანა 2.5-ის** (ბავშვთა/ადრეული ქორწინებებისა და მოზარდთა ორსულობის წინააღმდეგ ბრძოლა) შემთხვევაში, რომლებიც შესაბამისად 25% და 18%-ით შესრულდა.[1] ამოცანა 2.2-ის ფარგლებში განისაზღვრა 3 აქტივობა (2 მათგანი ნაწილობრივ განხორციელდა, ხოლო 1 აქტივობის

[1] *შენიშვნა: გამომდინარე აღნიშნულ ამოცანებზე პასუხისმგებელი უწყების შესაბამისი ქვედანაყოფების მხრიდან არ იქნა მოწოდებული წლიური სტატუსანგარიში, ინფორმაცია მოცემულია 6 თვის მონაცემებზე დაყრდნობით.*

განხორციელება არ დაწყებულა), ხოლო ამოცანა 2.5-ის ფარგლებში განისაზღვრა 7 აქტივობა, რომელთაგანაც 5 აქტივობის განხორციელება 2023 წლის განმავლობაში არ დაწყებულა, ყველა ზემოთაღნიშნული აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი იყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რომელსაც აქტივობების არდაწყების მიზეზებზე ინფორმაცია არ მოუწოდებია.

აღსანიშნავია, ისიც, რომ 6 თვის მონაცემებთან შედარებით, მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა **ამოცანა 4.4-ისა** (ახალგაზრდული ორგანიზაციების და საინიციატივო ჯგუფების მხარდამჭერი მექანიზმების განვითარება), და **ამოცანა 4.2-ის** (მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა) შემთხვევაში რომელთა შესრულებაც შესაბამისად 10%-დან (6 თვის მონაცემი) 43%-მდე და 11%-დან 33%-მდე გაიზარდა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა №2-ით წარმოდგენილია სტრატეგიული მიზნების მიხედვით ამოცანების შესრულების დონე, ცხრილი №1 ასახავს ამოცანების განხორციელების დონეს კლებადობის პრინციპით, ხოლო დიაგრამა №3-ით წარმოდგენილია აქტივობების განხორციელების დონე მათი სტატუსების მიხედვით ამოცანების ჭრილში. მონაცემები გაანგარიშებულია კონსოლიდირებულ სტატუსანგარიშში მოცემული აქტივობების შესაბამისი პროგრესის საფუძველზე.

დიაგრამა № 2. პროგრესი ამოცანების მიხედვით



ცხრილი № 1. პროგრესი ამოცანების მიხედვით

ამოცანა	**განხორციელების დონე**
2.1 ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა	100%
2.6 ახალგაზრდების/ბავშვთა პერსონალური მონაცემების დაცვის გაუმჯობესება	100%
4.6 საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების შესაბამისი პროგრამებისა და სერვისების განვითარება	100%
4.5 ნაკლები შესაძლებლობის მქონე, შშმ ახალგაზრდების, ასევე ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების საჭიროებებზე მიმართული პროგრამების და სერვისების განვითარება	92%
4.1 ახალგაზრდებში სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაძლიერება	91%
2.4 ახალგაზრდების მიმართ და ახალგაზრდების მიერ ჩადენილი ძალადობისა და ანტისოციალური ქცევის, მათ შორის დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა	80%
1.1 არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა	70%
4.3 გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა	61%
3.2 ახალგაზრდული მეწარმეობის გაძლიერება	57%
3.1 ახალგაზრდების ხარისხიანი და ღირსეული დასაქმების ხელშეწყობა	47%
4.4 ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების მხარდამჭერი მექანიზმების განვითარება	43%

4.2 მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა	33%
2.3 ახალგაზრდებში ქიმიური და ქცევითი დამოკიდებულების დონის შემცირება	31%
5.1 ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავების მხარდაჭერა	30%
2.2 ახალგაზრდების ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება	25%
2.5 ბავშვთა/ადრეული ქორწინებებისა და მოზარდთა ორსულობის წინააღმდეგ ბრძოლა	18%

დიაგრამა № 3 აქტივობების განხორციელების დონე მათი სტატუსების მიხედვით ამოცანების ჭრილში



მიზნების ჭრილში, სტრატეგიის 5 მიზნის ფარგლებში დაგეგმილმა აქტივობებმა განხორციელების პროგრესის განსხვავებული მაჩვენებლები გამოავლინა. განხორციელების პროგრესის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (70%) დაფიქსირდა **მიზანი 1-ისა** (ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის გამოვლენის ხელშეწყობა) და **მიზანი 4-ის** (ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ და დემოკრატიულ

პროცესებში) შემთხვევაში, ხოლო ყველაზე დაბალი (30%) განხორციელების დონე **მიზანი 5-ის** (ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის სისტემის გაუმჯობესება) შემთხვევაში დაფიქსირდა. ამასთან, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მიზნები განსხვავებული რაოდენობის ამოცანებსა და ამოცანების შესაბამის აქტივობებს მოიცავენ, წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები ნაკლებად ასახავს მიზნების განხორციელების რეალურ მასშტაბებს.

დიაგრამა № 4. პროგრესი მიზნების მიხედვით



<u>**აქტივობების განხორციელების პროგრესი უწყებების ჭრილში**</u>

აღსანიშნავია, რომ შვიდმა სახელმწიფო უწყებამ 100%-ით განახორციელა თავიანთი პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული აქტივობები. ეს უწყებებია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (7 აქტივობა), საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო (2 აქტივობა), საქართველოს პროკურატურა (3 აქტივობა), საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო (4 აქტივობა), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (2 აქტივობა), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (1 აქტივობა) და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური (2 აქტივობა). თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ მათ მიერ განსახორციელებული აქტივობების რაოდენობა არ აღემატებოდა 7-ს.

80%-ზე მაღალი განხორციელების დონე აქვთ შემდეგ უწყებებს: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (97%), შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს (94%), სსიპ- საჯარო სამსხურის ბიუროს (88%), საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (84%), საქართველოს შინაგან საქმეთა (83%) და იუსტიციის სამინისტროს (81%).

6 თვიანი ანგარიშის მსგავსად, შედარებით ნაკლები პროგრესი აჩვენა სსიპ ახალგაზრდობის სააგენტომ (46%) და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ (23%), თუმცა, ამასთანავე, ეს ორი

უწყება პასუხისმგებელი იყო აქტივობების ყველაზე დიდ წილზე, შესაბამისად 60 და 23 აქტივობაზე.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა №5-ით წარმოდგენილია აქტივობების შესრულების სტატუსები მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებების მიხედვით, დიაგრამა №6 ასახავს უწყებების აქტივობების პროგრესის საშუალო მაჩვენებლებს, ხოლო ცხრილი №2-ით წარმოდგენილია აქტივობების რაოდენობა და მათი შესრულება უწყებების მიხედვით. მონაცემები გაანგარიშებულია კონსოლიდირებულ სტატუსანგარიშში მოცემული აქტივობების შესაბამისი პროგრესის საფუძველზე.

დიაგრამა №5 აქტივობების შესრულების სტატუსები მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებების მიხედვით



	YA	MoILHSA	MoESY	MOJ	MRDI	SMRCE	MCS	MOD	პროკურატურა	MIA	PDPS	MoESD	MFA	CSB	MEPA
გაუქმდა		2													
არ დაწყებულა 0%	22	12	1												
ნაწილობრივ განხორციელდა 1-50%	15	6	1	1						1					
მეტწილად განხორციელდა 51-99%	6		2	2		1		1						1	
სრულად განხორციელდა 100%	17	3	9	5	7	6	4	2	3	2	2	2	2	1	1
აქტივობების რაოდენობა	60	23	13	8	7	7	4	3	3	3	2	2	2	2	1

დიაგრამა №6 უწყებების აქტივობების პროგრესის საშუალო მაჩვენებლები



ცხრილი № 2. აქტივობების რაოდენობა და მათი შესრულება უწყებების მიხედვით

უწყება	**აქტივობების რაოდენობა**	**განხორციელდა**	**მეტწილად შესრულდა**	**ნაწილობრივ შესრულდა**	**არ დაწყებულა**	**გაუქმდა**
სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო	60	17	6	15	22	
ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	23	3	0	6	12	2
განათლების,	13	9	2	1	1	

მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო						
იუსტიციის სამინისტრო	8	5	2	1		
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	7	7				
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	7	6	1			
კულტურისა და სპორტის სამინისტრო	4	4				
თავდაცვის სამინისტრო	3	2	1			
პროკურატურა	3	3				
შინაგან საქმეთა სამინისტრო	3	2		1		
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2	2				
პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური	2	2				
საგარეო საქმეთა სამინისტრო	2	2				

სსიპ- საჯარო სამსახურის ბიურო	2	1	1			
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	1	1				

2023 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობები:

- განხორციელდა ანაკლიისა და შაორის ახალგაზრდული ბანაკების ორგანიზებისთვის საჭირო სარეაბილიტაციო სამუშაოები, შედეგად ახალგაზრდული ბანაკები სრულად რეაბილიტირდა; მომზადდა 2 საბანაკე პროგრამა. ახალგაზრდულმა ბანაკები ჯამში 2023 წელს 3000-მდე ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა. ასევე, ჩატარდა ახალგაზრდული ბანაკების ლიდერების შერჩევის ღია კონკურსი. მომზადდა და ჩატარდა ლიდერების მოსამზადებელი პროგრამა, რომელშიც 100-ზე მეტმა შერჩეულმა ახალგაზრდამ (2023-128) მიიღო მონაწილეობა.
- ახალგაზრდულ ბანაკებში ჩატარდა ინტერაქტიული ტრენინგი პროფესიის არჩევისა და მართვის, ფინანსური წიგნიერების, მოხალისეობის, ახალგაზრდული შესაძლებლობების თემებზე.
- რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული უკრაინელი მოზარდებისთვის ჩატარდა ბანაკი. ჯამში 44 მოზარდის მონაწილეობით.
- 2023 წლის 15-20 სექტემბერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ანაკლიაში არსებულ საბანაკე ბაზაზე სსიპ ახალგაზრდობის სააგენტომ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარტნიორობით, განახორციელა ,,თსუ-ს ახალგაზრდული ფორუმი“. საერთო ჯამში, ღონისძიებაში 200-მდე ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა.
- 2023 წელს, ღია კონკურსის საფუძველზე „ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს" დებულებით განსაზღვრული წესებისა და პრინციპების გათვალისწინებით, გენდერული ბალანსის დაცვით შეირჩა საბჭოს 22 წევრი (16-26 წლამდე ახალგაზრდები).
- "Skills4Success უნარები წარმატებისთვის" პროექტის ფარგლებშიც დასაქმებულმა 20-მა მობილურმა ახალგაზრდულმა მუშაკმა საქართველოს 5 რეგიონის, 10 მუნიციპალიტეტში შექმნა ახალგაზრდული სერვისები და ჩართო 2000 ადგილობრივი NEET ახალგაზრდა. პროექტის დასრულების შემდგომ, 6-მა მუშაკმა განაგრძო საქმიანობა საქართველოს 3 რეგიონის 6 მუნიციპალიტეტში.
- ახალგაზრდობის სააგენტომ ხელი შეუწყო ახალგაზრდული ორგანიზაციების განვითარებას. 40 ახალგაზრდულ ორგანიზაციას სამეწარმეო უნარების განვითარებისა და პროექტების წერის ტრენინგები ჩაუტარდათ.
- ახალგაზრდობის სააგენტოს მხარდაჭერით საქართველოში გაიმართა ევროპის სტუდენტური გაერთიანების [ESU] საბჭოს რიგით 84-ე შეხვედრა. ღონისძიებაში მონაწილეობას 112-მა ახალგაზრდამ მიიღო.

- ახალგაზრდული შესაძლებლობების ონლაინ პლატფორმა (Youthplatform.gov.ge) წარმატებით ფუნქციონირებს და წელიწადში იტვირთება 200-ზე მეტი ახალგაზრდული შესაძლებლობა.
- დამტკიცდა ახალგაზრდული მუშაკის პროფესიის სტანდარტი. შემუშავდება მოკლევადიანი და გრძელვადიანი 2 საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო დოკუმენტი.
- შემუშავდა ახალგაზრდული სერვისების ხარისხის სტანდარტის სამუშაო დოკუმენტები (ახალგაზრდული ცენტრების, სივრცეებისა და ბანაკების).
- მომზადდა ახალგაზრდული მეწარმეობის განვითარების კონცეპტუალური დოკუმენტი და რეკომენდაციების პაკეტი.
- ,,მუნიციპალური ახალგაზრდული სტრატეგიები" და სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია 26 მუნიციპალიტეტში.
- მუნიციპალურ დონეზე მოქმედებს 24 ახალგაზრდული სათათბირო - ახალგაზრდული საბჭო, რომელიც დამტკიცებულია მერების ბრძანებით. ასევე შექმნილია ამ საბჭოებისთვის სახელმძღვანელო დოკუმენტი.
- მომზადდა შედარებითი ანალიზი თემაზე: „მოხალისეობრივი საქმიანობა საქართველოში და ევროპაში". შემუშავდა რეკომენდაციები ახალგაზრდების მოხალისეობის პოლიტიკის გასაუმჯობესებლად. აღნიშნული ინიციატივა გახდა საფუძველი მოხალისეობის თემაზე მომუშავე ორგანიზაციების სტრუქტურული დიალოგის პლატფორმის შექმნის.
- ჩატარდა კვლევა ,,პოლიტიკის რეკომენდაციები ახალგაზრდების არსებითი მონაწილეობისთვის". შემუშავდა რეკომენდაციები ახალგაზრდული პოლიტიკის წარმოების პროცესში, მონაწილეობის გასაუმჯობესებლად.

ამოცანების შესრულების დონე, ამოცანების შედეგების საბაზისო, სამიზნე ინდიკატორები მაჩვენებლები და მაჩვენებელი საანგარიშო წლისთვის, ასევე ინფორმაცია აქტივობების შესრულების სტატუსის შესახებ და მათი მოკლე აღწერილობა წარმოდგენილია 2023 წლის კონსოლიდირებული სტატუსანგარიშის დოკუმენტში (იხ. დანართი 1).

საბოლოო ჯამში, განხორციელებული და განხორციელების პროცესში მყოფი აქტივობების შედეგების საფუძველზე, შესაძლებელია ითქვას, რომ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესაბამისი აქტივობების დიდი ნაწილი შესრულდა დადგენილ ვადებში და განსაზღვრული მოცულობით.

დეტალური პროგრესი თითოეულ ამოცანასთან მიმართებაში

ამოცანა 1.1 არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა

- ამოცანის შედეგის ინდიკატორებთან მიმართებაში პროგრესის შესახებ

ამოცანა 1.1-ის 1.1.1 შედეგის ინდიკატორთან მიმართებით, საბაზისო მონაცემი აღებულია კვლევიდან „ახალგაზრდობის საჭიროებები და გამოწვევები მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე 2021“, საანგარიშო პერიოდისთვის აღნიშნული კვლევა ხელახლა არ განხორციელებულა, შესაბამისად მონაცემი არ მოიპოვება.

მხოლოდ სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ ან მისი მხარდაჭერით განხორციელებულ აქტივობებში ჯამურად, 2023 წელს 10 000-მდე ახალგაზრდა იყო ჩართული, თუმცა, მეთოდოლოგიის განსხვავების გამო, მონაცემის დადარება და პროგრესის განსაზღვრა შეუძლებელია.

ამოცანა 1.1-ის 1.1.2 შედეგის ინდიკატორთან მიმართებით, 2023 წელს მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები განხორციელდა. 2023 წლის ივნისში დამტკიცდა ახალგაზრდული მუშაკის პროფესიის სტანდარტი, შემუშავდა სასწავლო კურსის სამუშაო ვერსია. საგანმანათლებლო სტანდარტის დამტკიცება და კურსის აკრედიტაცია იგეგმება 2024 წელს და შემდგომ შესაძლებელი იქნება მუშაკების გადამზადება, შედეგად კიდევ უფრო გაიზრდება სერტიფიცირებული ახალგაზრდული მუშაკების რაოდენობა. ამ ეტაპისთვის, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს ხელთ არსებული მონაცემების შესაბამისად, საკუთარი პროფესიით დასაქმებული მუშაკების რაოდენობა შეადგენს 52-ს, აქედან სერტიფიცირებულია მხოლოდ 20.

ამოცანა 1.1-ის 1.1.3 შედეგის ინდიკატორთან მიმართებით საანგარიშო წელს შესაბამისი კვლევა არ ჩატარებულა, შესაბამისად შეუძლებელია პროგრესის განსაზღვრა.

- წარმატებული ისტორიები

საანგარიშო პერიოდისთვის ამოცანის ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პასუხისმგებლობის ქვეშ განისაზღვრა 19 აქტივობა. განხორციელებული აქტივობებიდან აღსანიშნავია შემდეგი წარმატებული ისტორიები:

ქვეპროგრამის „სასკოლო აქტივობების ხელშეწყობა“ ფარგლებში, ჩატარდა სასკოლო კონკურსი „ჩემი პირველი ქართული როლი“, სასკოლო კვირეული „ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი“ და I, II, III ადგილზე გასული და ჟიურის სპეციალური ნომინაციებში გამარჯვებული სკოლები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებითა და დიპლომებით. „თავდაცვა და უსაფრთხოება“ ქვეპროგრამის ფარგლებში, 2023-2024

სასწავლო წელს საგანი ,,სამხედრო საქმე“ ისწავლება 80 საპილოტე სკოლაში, საბაზო საფეხურის 4 000-მდე მოსწავლე გაეცნო საქართველოსა და მსოფლიოს წინაშე არსებულ საფრთხეებსა და მათზე რეაგირების მექანიზმებს, სამხედრო საქმის საფუძვლებს, ინფორმაციას საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ; მოსწავლეები გამოიმუშავებედნენ საგანგებო ვითარებაში უსაფრთხო ქცევის, თვითგადარჩენისა და სხვისი დახმარების უნარ-ჩვევებს; ასევე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლის ბაზაზე, საქართველოს არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების 150 მოსწავლისთვის ჩატარდა ,,ქართული ენის საზაფხულო სკოლა“. სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის მიმართულებით საქართველოს 9 რეგიონის 18 საჯარო სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტი. საანგარიშო პერიოდისთვის, პროექტის ფარგლებში ამუშავებულ კლუბებში, ჩართულია 430 მოსწავლე, აქედან 161 ბენეფიციარი და 269 მოხალისე.

2023 წელს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით, ახალგაზრდების გარემოსდაცვითი ცნობიერების დონის ამაღლების მიზნით, გაიმართა 100-ზე მეტი ლექცია-სემინარი და ვებინარი, სადაც 2022 ახალგაზრდა მონაწილეობდა. ასევე, "გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში" 20-საათიანი ტრენინგი 2023 წელს გაიარა დაწყებითი კლასის 2023-მა მასწავლებელმა (ჯამში გადამზადებულია 5835 პედაგოგი). განხორციელდა ახალგაზრდული პროგრამები: "მწვანე ბანაკი - კლიმატის ელჩები", რომელიც IX-XII კლასების 50 მოსწავლემ დაასრულა, ამასთან ლექცია-სემინარების 2-თვიანი კურსი განხორციელდა ცენტრის 21 მოხალისისთვის. რაც შეეხება "ეკოლიდერთა სკოლის" პროგრამას, გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული 2-თვიანი სასწავლო კურსის თეორიული ნაწილი წარმატებით დაასრულა IX-XII კლასების 63-მა მოსწავლემ. "სატყეო სკოლის" ორთვიანი სასწავლო კურსი წარმატებით დაასრულა 36-მა მოსწავლემ, ხოლო "აგროსკოლის" სამთვიან პროგრამაში მონაწილეობდა 41 მოსწავლე (ჯამში კურსებში მონაწილეობა მიიღო 211-მა მოსწავლემ).

სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს ორგანიზებით წარმატებით განხორციელდა ანაკლიისა და შაორის ახალგაზრდული ბანაკები. საწყის ეტაპზე ჩატარდა ახალგაზრდული ბანაკების ლიდერების შერჩევის ღია კონკურსი. მომზადდა ლიდერების მოსამზადებელი პროგრამა, რის საფუძველზეც ანაკლიის საზაფხულო ბანაკის ბაზაზე ჩატარდა ლიდერების გადასამზადებელი ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 127-მა შერჩეულმა ახალგაზრდამ. ტრენინგის შემდგომ, შერჩეული საუკეთესო ლიდერები დასაქმდნენ შაორისა და ანაკლიის ახალგაზრდულ ბანაკებში.

ანაკლიის ბანაკმა 2023 წელს 2337 ახალგაზრდას 10 ნაკადად უმასპინძლა. თითო ნაკადი მოიცავდა 240 მონაწილეს და საბანაკე პროგრამა შვიდი დღე გრძელდებოდა. ბანაკს 14-იდან 18 წლამდე ახალგაზრდები საქართველოს ყველა რეგიონიდან სტუმრობდნენ. რაც შეეხება შაორის ბანაკს, ბანაკმა წელს 667 ახალგაზრდას რვა ნაკადად უმასპინძლა, ხოლო საბანაკე პროგრამა ხუთი დღე გრძელდებოდა. შაორის ბანაკს 18-25 წლის ახალგაზრდები სტუმრობდნენ. საბანაკე პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები სრულად ითვალისწინებდა ახალგაზრდების ინტერესებს, საჭიროებებსა და განხორციელდა

არაფორმალური განათლების მეთოდოლოგიით. ბანაკში განხორციელებული აქტივობები მიზნად ისახავდა ისეთი მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევას, როგორიცაა: სოციალური ინტეგრაცია და ინკლუზია, ახალგაზრდებისათვის აქტიური დასვენების ხელმისაწვდომობა, არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა, ფიზიკური და ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ეროვნული და ევროპული ღირებულებების დაფუძნების ხელშეწყობა, პატრიოტული ღირებულებების წახალისება. ასევე, 2023 წელს, რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული უკრაინელი მოხარდებისთვის ჩატარდა ბანაკი. რომლისთვისაც მომზადდა დამოუკიდებელი საბანაკე პროგრამა, ჯამში 44 მოზარდის მონაწილეობით.

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების (Skills4Jobs) პროგრამის ფარგლებში, სიტუაციის ანალიზისა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, შემუშავდა კონცეპტუალური დოკუმენტი და მის საფუძველზე ახალგაზრდული სერვისების ხარისხის სტანდარტის დოკუმენტები (ახალგაზრდული ცენტრების, სივრცეების და ბანაკების), რომელიც მიზნად ისახავს ცენტრების, სივრცეების და ბანაკების ხარისხის სტანდარტის დანერგვას და ხარისხიანი სერვისების განვითარების ხელშეწყობას.

განახლდა ახალგაზრდული შესაძლებლობების ონლაინ პლატფორმა (youthplatform.gov.ge), რომელსაც დაემატა ბიბლიოთეკა, ახალგაზრდული მუშაკების სივრცე - ახალგაზრდული მუშაკებისთვის განკუთვნილი საინფორმაციო, საკომუნიკაციო და საგანმანათლებლო რესურსები, შეფასებისა და უკუკავშირის ფორმა, შესაძლებლობების რუკა და ვებგვერდის გამოწერის ფუნქცია. ასევე, ვებგვერდზე დარეგისტრირებული ორგანიზაციებისა და ახალგაზრდების გამოკითხვის შესაბამისად შეიცვალა და დაიხვეწა ვიზუალური ნაწილი. პლატფორმაზე ყოველკვირეულად იტვირთება სულ მცირე 5 ახალგაზრდული შესაძლებლობა.

2023 წელს გამოცხადებული კონკურსის „პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსტრაკურიკულური აქტივობების დანერგვა და განვითარება“ ფარგლებში, 30 პროექტი დაფინანსდა. პროექტები 11 რეგიონშია გადანაწილებული და მას 22 საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს, 36 პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად.

ევროკავშირის პროგრამის "Skills 4 Job" მიერ დაფინანსებული პროექტის "CBLLL" ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით შემუშავდა 2 არაფორმალური საგანმანათლებლო კურსი- „ციფრული წიგნიერების საბაზისო კურსი“ და „ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერების კურსი“. ასევე, შეიქმნა კურსების დანერგვის მხარდაჭერი რესურსები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, ტრენერებისა და მსმენელებისთვის. ასევე, შემუშავდა ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერების თვითმართვადი ციფრული კურსი და განთავსდა პროფესიული განათლების ელექტრონული სწავლების პლატფორმაზეც (LMS). აღნიშნული კურსების პილოტირება დასრულდა საქართველოს 7 პროფესიულ და 2 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. პილოტირების შედეგად, 19 პროფესიულ მასწავლებელს ჩაუტარდა 3-3

დღიანი ტრენერთა-ტრენინგიც (ToT). ჯამში, ორივე კურსში ჩართული იყო 130-მდე მონაწილე

- რისკები

სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-ის ლოგიკურ ჩარჩოში აღნიშნული ამოცანის განხორციელებასთან დაკავშირებით განისაზღვრა შემდეგი რისკ-ფაქტორები: საჭირო დაფინანსების ნაკლებობა, პრიორიტეტების ცვლილება, კოორდინაციის ნაკლებობა.

აღნიშნული ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში ზემოთაღნიშნული რისკ ფაქტორები არ დამდგარა.

- შემდგომი ნაბიჯები

ამოცანის შესრულების მიმართულებით გაგრძელდება მუშაობა 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში გასაზღვრული კონკრეტული აქტივობების განხორციელების გზით. მათ შორის, დაგეგმილია:

სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობა;

ბავშვებისა და ახალგაზრდების გარემოსდაცვითი და აგრარული ცნობიერების ასამაღლებლად ლექციებისა და ტრენინგების ჩატარება;

ახალგაზრდული ბანაკების და ახალგაზრდული ფესტივალების ორგანიზება;

არაფორმალური განათლების მეთოდების საბანაკე გარემოში დანერგვის ხელშეწყობის მიზნით ბანაკის ლიდერებად მომზადების მოკლევადიანი სასწავლო კურსის განახლება და ბანაკის ლიდერების გადამზადება;

პროფესიული განათლების საფეხურზე არაფორმალური განათლების დანერგვა;

ახალგაზრდული საქმიანობის მიმართულებით საუკეთესო პრაქტიკის და გამოცდილების გაზიარების მიზნით ფორუმების ჩატარება;

კიბერუსაფრთხოების ტრენინგების ჩატარება სტუდენტებისთვის;

ამოცანა 2.1 ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა

- ამოცანის შედეგის ინდიკატორთან მიმართებაში პროგრესის შესახებ

საანგარიშო პერიოდისთვის, ამოცანა 2.1-ის შედეგის ინდიკატორებთან (2.1.1 ჭარბწონიანობის პროცენტული მაჩვენებელი მოზარდებსა და ახალგაზრდებში; 2.1.2 რეგულარულ ფიზიკურ აქტივობაში (არანაკლებ კვირაში ერთხელ) ჩართულობის მაჩვენებელი (14-29 წლის ასაკობრივი ჯგუფი)) მიმართებით ინფორმაცია არ მოიპოვება, შესაბამისად პროგრესის გაზომვა ვერ ხერხდება.

- წარმატებული ისტორიები

საანგარიშო პერიოდისთვის ამოცანის ფარგლებში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პასუხისმგებლობის ქვეშ განისაზღვრა და სრულად განხორციელდა 7 აქტივობა. დასრულდა მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოები (ქ. თბილისში მდებარე დავით პეტრიაშვილის სახელობის სტადიონის პროექტირება/მშენებლობა, ქ. წყალტუბოში, აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ ახალი საფეხბურთო ტენიკური ცენტრის პროექტირება/მშენებლობა, ქ. ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზ. N836-ში ახალი საფეხბურთო ტექნიკური ცენტრის პროექტირება/მშენებლობა, ქ. ბათუმში 2 (ორი) ახალი საფეხბურთო ტექნიკური ცენტრის პროექტირება/მშენებლობა და სხვა), რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს პასუხისმგებლობის ქვეშ განისაზღვრა და სრულად განხორციელდა 4 აქტივობა, მათ შორის:

სპორტული ფესტივალის- "სპორტი ყველასთვის" ფარგლებში, მოეწყო სპორტული სოფელი, სადაც მონაწილეობას იღებდა 2000-ზე მეტი ახალგაზრდა. წარმოდგენილი იყო სპორტის 20-ზე მეტი სახეობა. გაიმართა სხვადასხვა სახის სპორტული ფესტივალები; პარა-სპორტული აქტივობები; საშეჯიბრო მარათონები; ველო-გარბენი და სხვა. მუნიციპალიტეტებში (ბორჯომი, ჩხოროწყუ, ხობი) გაიმართა სპორტული ფესტივალი "სპორტი ყველასათვის".

ასევე, საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა ქალაქში გაიმართა სპორტული აქტივობები მინი ფეხბურთში, შერეულ ფრენბურთში, ველოგარბენსა და სხვა, სადაც მონაწილეობა მიიღო 600-ზე მეტმა ახალგაზრდამ. საერთო ჯამში, 2023 წლის განმავლობაში გამართულ ღონისძიებებში ჩართული იყო 900-ზე მეტი ახალგაზრდა. ამასთან, 2023 წლის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიმართა 15 000-მდე სასკოლო სპორტული შეჯიბრი, რომელშიც ჩართული იყო 100 000-ზე მეტი მოსწავლე.

- რისკები

სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-ის ლოგიკურ ჩარჩოში აღნიშნული ამოცანის განხორციელებასთან დაკავშირებით განისაზღვრა შემდეგი რისკ-ფაქტორები: საჭირო დაფინანსების ნაკლებობა, პრიორიტეტების ცვლილება და კოორდინაციის ნაკლებობა.

აღნიშნული ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში ზემოთაღნიშნული რისკ ფაქტორები არ დამდგარა.

- შემდგომი ნაბიჯები

ამოცანის შესრულების მიმართულებით გაგრძელდება მუშაობა 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაზღვრული კონკრეტული აქტივობების განხორციელების გზით. მათ შორის, დაგეგმილია:

ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობის აქტივობების განვითარება ფორმალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

სასკოლო სპორტული ოლიმპიადისა და სასკოლო ლიგის გამართვა;

სასკოლო სპორტის კვირეულის გამართვა (შიდა სასკოლო და მუნიციპალური თამაშები);

სპორტულ შემეცნებითი პროგრამების განხორციელება სპორტის სხვადასხვა სახეობაში და სხვა.

ამოცანა 2.2 ახალგაზრდების ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება

- ამოცანის შედეგის ინდიკატორთან მიმართებაში პროგრესის შესახებ

საანგარიშო პერიოდისთვის, ამოცანა 2.2-ის შედეგის ინდიკატორებთან (2.2.1 დაფიქსირებული სუიციდის (მცდელობები და განხორციელებული სუიციდი) შემთხვევა ახალგაზრდებში 100 000-ს მოსახლეზე (14-29 წლის ასაკობრივი ჯგუფი); 2.2.2 ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის შემთხვევების რაოდენობა ახალგაზრდებში, 100 000 სულ მოსახლეზე (14-29 წლის ასაკობრივი ჯგუფი) მიმართებით ინფორმაცია არ მოიპოვება, შესაბამისად პროგრესის გაზომვა ვერ ხერხდება.

- წარმატებული ისტორიები

საანგარიშო პერიოდისთვის ამოცანის ფარგლებში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პასუხისმგებლობის ქვეშ განისაზღვრა 3 აქტივობა.

გამომდინარე იქიდან, რომ აქტივობებზე პასუხისმგებელი უწყების შესაბამისი ქვედანაყოფის მიერ არ იქნა მოწოდებული ერთწლიანი ანგარიში, ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია ასახავს 6 თვის ანგარიშს:

"ჯანმრთელობის ხელშეწყობის" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს კრიზისული ფსიქოლოგიური დახმარების ცხელი ხაზი. მოსარგებლე პირებს უტარდებათ საინფორმაციო და ფსიქოლოგიური კონსულტაციები; საჭიროების შემთხვევაში ხდება გადამისამართება კრიზისულ მულტისისტემურ სერვისებში. 2023 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით ცხელი ხაზით ისარგებლა 7-მა პირმა (14 დან - 25 წლის ჩათვლით) და 75 მოზარდის/ახალგაზრდის მშობელმა. მიმართვის ძირითადი მიზეზებია: შფოთვითი სიმპტომები; დეპრესიულობა; მარიხუანას მოხმარება, თვითდაზიანებები, ჩაკეტილობა და გაუცხოება, შიშები და შფოთვა, სწავლაზე გულის აცრუება, აგრესიულობა, ელექტრონულ მოწყობილობებზე მიჯაჭვულობა, დეპრესიულობა.

კრიზისული ფსიქოლოგიური დახმარების ცხელ ხაზზე მომართვის შემთხვევაში მიმდინარეობს პირთა ინფორმირება ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე. მომზადდა პირველადი ჯანდაცვის სისტემის საკომუნიკაციო სტრატეგია, რომელიც ასევე ითვალისწინებს პირველადი ჯანდაცვის დონეზე ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებას.

- შემდგომი ნაბიჯები

ამოცანის შესრულების მიმართულებით გაგრძელდება მუშაობა 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაზღვრული კონკრეტული აქტივობების განხორციელების გზით. მათ შორის, დაგეგმილია:

ახალგაზრდებში ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით საგანმანათლებლო კამპანიის განხორციელება;

განათლების სიტემაში მომუშავე სპეციალისტების მოხმარებისათვის სუიციდის პრევენციის ASAP(Assassement of Suicade) სკრინინგ ინსტრუმენტის მოდიფიკაცია.

ამოცანა 2.3 ახალგაზრდებში ქიმიური და ქცევითი დამოკიდებულების დონის შემცირება

- ამოცანის შედეგის ინდიკატორთან მიმართებაში პროგრესის შესახებ

საანგარიშო პერიოდისთვის, ამოცანა 2.3-ის შედეგის ინდიკატორებთან (2.3.1 ახალგაზრდებში გადამეტებული სმის (იმ ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, ვინც დაადასტურა ზედიზედ ხუთი ან მეტი ჭიქის დალევა ბოლო 30 დღის განმავლობაში) მაჩვენებელი; 2.3.2 იმ ახალგაზრდების პროცენტული მაჩვენებელი, ვინც მოიხმარა მარიხუანა ბოლო 30 დღის განმავლობაში; 2.3.3 იმ ახალგაზრდების (14-29 წლის ასაკობრივი ჯგუფი) პროცენტული მაჩვენებელი, ვინც ფიქრობს, რომ მათ დასახლებაში აზარტული თამაშებით გატაცება პრობლემაა) მიმართებით ინფორმაცია არ მოიპოვება, შესაბამისად პროგრესის გაზომვა ვერ ხერხდება.

- წარმატებული ისტორიები

საანგარიშო პერიოდისთვის ამოცანის ფარგლებში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პასუხისმგებლობის ქვეშ განისაზღვრა 5 აქტივობა.

გამომდინარე იქიდან, რომ აქტივობებზე პასუხისმგებელი უწყების შესაბამისი ქვედანაყოფის მიერ არ იქნა მოწოდებული ერთწლიანი ანგარიში, ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია ასახავს 6 თვის ანგარიშს:

შემუშავდა ზოგადი სახის რეკომენდაციები - უნიკალური, პრევენციული, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკული საგანმანათლებლო მასალა ადიქციის ნაციონალური ინსტიტუტის, ნარკოტიკებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ევროპული ცენტრის (EMCDDA); ჯანმოს; ნივთიერებადამოკიდებულების და ფსიქიკური ჯანმრთელობის ადმინისტრაციის და სხვა მნიშვნელოვანი რესურსების გამოყენებით. მასალები ფოკუსირებულია ნარკოტიკების მოხმარების პრევენციასთან დაკავშირებული ხარჯთეფექტურ ინტერვენციებსა და პოლიტიკაზე; ასევე, მასალები მშობლებისათვის ვიდეოთამაშების გართობის და ადიქციის სხვა პრობლემატური საკითხების პრევენციასა

და ალტერნატიული გზების შესახებ ინფორმირებაზე. აღსანიშნავია, რომ არსებული რეკომენდაციები პრაქტიკულ ხასიათს ატარებს, მორგებულია არსებულ რეალობას და მნიშვნელოვანია მათი ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება.

სოციალურ ქსელში ფუნქციონირებს: (1) ფსიქიკური ჯანმრთელობის თემებისადმი მიძღვნილი გვერდი Facebook-ის სოციალური ქსელში „გამიგე“ ; (2)"ისწავლე, ასწავლე, დაიცავი“, რომელიც ეხება ნივთიერებადამოკიდებულებისა და აზარტული თამაშების პრევენციის საკითხებს. ასევე, მომზადდა ახალგაზრდების, მშობლებისა და პედაგოგებისთვის ქიმიური და ქცევითი დამოკიდებულების პრევენციის საკითხებზე, სსიპ - ლ . საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ინტერაქტიული ვებგვერდის კონცეფცია.

საანგარიშო პერიოდისთვის ამოცანის ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის პასუხისმგებლობის ქვეშ 1 აქტივობა, რომელიც სრულად განხორციელდა:

პროგრამა 13 წლის ზევით მოზარდებისთვის - ,,სარისკო ქცევების პრევენცია“ სრულად ჩატარდა საქართველოს 80 საჯარო სკოლის 89 კლასში. აღნიშნული პროგრამა არის საგანმანათლებლო და საინფორმაციო ხასიათის და ნივთიერებების მოხმარების პრევენციის მიზნით ხორციელდება. პროგრამა დანერგილია და მიმდინარეობს მხოლოდ სოციალური მუშაობით წარმოდგენილ საჯარო სკოლაში, საქართველოს მასშტაბით 10 რეგიონსა და 18 მუნიციპალიტეტში, თუმცა არ არის შეტანილი სასწავლო პროგრამაში. შედგება 11 სესისგან და ასევე მოიცავს შეხვედრებს სკოლის ადმინისტრაციასთან და მშობლებთან, როგორც პროგრამის დასაწყის ასევე ფინალურ ეტაპზე, პროგრამის ეფექტურობას ზომავს პრე და პოსტ ტესტის ინსტრუმენტი.

- შემდგომი ნაბიჯები

ამოცანის შესრულების მიმართულებით გაგრძელდება მუშაობა 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაზღვრული კონკრეტული აქტივობების განხორციელების გზით. მათ შორის, დაგეგმილია:

ნარკოპრევენციის პროგრამის განხორციელების გაგრძელება 13 წელს ზევით ასაკის სკოლის მოსწავლეთათვის. 2025 წლის ბოლოს პროგრამით მოცული იქნება 44 საჯარო სკოლის 50 კლასი; ამაღლდება მოსწავლეების ცნობიერება ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმრების რისკებზე; მოსწავლეები აღჭურვილნი იქნებიან მოხმარების თავიდან აცილებისთის საჭირო უნარ-ჩვევებით.

ამოცანა 2.4 ახალგაზრდების მიმართ და ახალგაზრდების მიერ ჩადენილი ძალადობისა და ანტისოციალური ქცევის, მათ შორის დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა

- ამოცანის შედეგის ინდიკატორთან მიმართებაში პროგრესის შესახებ

საანგარიშო პერიოდისთვის, ამოცანა 2.4-ის 2.4.1 (17-24 წლის ახალგაზრდა მსხვერპლი ქალების რაოდენობა (შემაკავებელი ორდერებით წარმოებული სტატისტიკის შესაბამისად) შედეგის ინდიკატორთან მიმართებით აღინიშნა მნიშვნელოვანი პროგრესი, კერძოდ 2023 წელს, ახალგაზრდა მსხვერპლი ქალების რაოდენობა (ოჯახში ძალადობის ფაქტზე გამოცემული შემაკავებელი ორდერებით წარმოებული სტატისტიკის შესაბამისად), "17-24" ასაკობრივ ინტერვალში, საბაზისო მაჩვენებელთან (2019 წელთან) შედარებით, შემცირდა 20%-ით და შეადგენს 685-ს.

ამოცანა 2.4-ის შედეგის შემდეგ ინდიკატორებთან: 2.4.2 (ბულინგში მონაწილე 15 წლის ახალგაზდების რაოდენობა (HBSC)), 2.4.3 (ბულინგის შედეგად დაზარალებული 15 წლის ახალგაზდების რაოდენობა (HBSC)) და 2.4.4 (დანაშაულის ჩადენისათვის ბრალდებული 14-29 წლის ახალგაზრდების რაოდენობა) მიმართებით, საანგარიშო პერიოდისთვის ინფორმაცია არ მოიპოვება, შესაბამისად პროგრესის გაზომვა ვერ ხერხდება.

ხოლო, ამოცანა 2.4.-ის 2.4.5 (ძალადობის მოტივით 14-29 წლის პირთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელი) და 2.4.6 (ძალადობის შედეგად დაზარალებული 14-29 წლის პირები) შედეგის ინდიკატორებთან მიმართებით, პასუხისმგებელი უწყების მიერ აღნიშნულია, რომ პროგრესის აღწერა და შუალედური მაჩვენებლის გამოთვლა მოხდება 2024 წლის ბოლოს.

- წარმატებული ისტორიები

საანგარიშო პერიოდისთვის ამოცანის ფარგლებში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს პროკურატურისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პასუხისმგებლობის ქვეშ განისაზღვრა 18 აქტივობა. განხორციელებული აქტივობებიდან აღსანიშნავია შემდეგი წარმატებული ისტორიები:

საანგარიშო პერიოდში, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის, ასევე სექსუალური ძალადობის საკითხებსა და მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მომსახურებებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, ქვეყნის მასშტაბით, სასწავლო დაწესებულებებში ჩატარდა რვა შეხვედრა, რომლებსაც ესწრებოდნენ მოსწავლეები, სტუდენტები და მასწავლებლები.

ცნობიერების ამაღლების კამპანიების „ემეგობრე პოლიციას“ და „ნუ წაართმევ ბავშვობას“ ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა, ქვეყნის მასშტაბით 35 შეხვადრა ჩაატარეს, სამინისტროს წარმომადგენლები ქ. თბილისსა და ქვეყნის 6 რეგიონში (კახეთი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი) მდებარე სხვადასხვა სკოლებში შეხვდნენ ჯამში 600-ზე მეტ მოსწავლეს. შეხვედრების განმავლობაში მათ მიეწოდათ ინფორმაცია ოჯახში და ქალთა (გენდერული ნიშნით) მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულებების და ბავშთა უფლებების შესახებ, ასევე, ბავშვთა ქორწინების საზიანო შედეგების, ამ

მიმართულებით არსებული სამართლებრივი რეგულაციების და ბავშვობის ასაკში ქორწინების აღმოსაფხვრელად შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

განათლების მიღების მეორე შესაძლებლობის მიმართულებით ე.წ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების განათლების და სოციალიზაციის უზრუნველყოფისთვის, 2023 წლის განმავლობაში, ხორციელდებოდა სპეციალური საგანმანათლებლო სერვისი ,,ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამა'', რომლის ბენეფიციარები არიან ქვეყანაში არსებული სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიუსაფარი ბავშვებზე ზრუნვის სერვისების ბენეფიციარები (ქ. თბილისი, ქ. ქუთაისი, ქ. რუსთავი, ქ. ბათუმი), საანგარიშო პერიოდისთვის პროგრამაში ჩართული იყო 101 ბავშვი.

ასევე, საანგარიშო პერიოდში, საქართველოს პროკურატურის მიერ ჩატარდა კანონთამ კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლების კვლევა, კვლევაში იდენტიფიცირებულია არასრულწლოვანთა დანაშაულის შესაძლო გამომწვევი მიზეზები.

საქართველოს მასშტაბით, ჩატარდა საინფორმაციო კამპანია ფემიციდის წინააღმდეგ. საერთო ჯამში ჩატარდა 200-ზე მეტი შეხვედრა, ხოლო სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენდნენ საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები, სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები, ლექტორები, მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, შშმ პირები და სხვა დაინტერესებული პირები.

ევროპის საბჭოს მხარდაჭერით ჩატარდა თანასწორობის კვირეული, რომლის ფარგლებში პროკურორები შეხვდნენ მოსწავლეებს, სტუდენტებს, შშმ პირთა საბჭოს წევრებს, ჯამში ჩატარდა 10-ზე მეტი შეხვედრა.

საანგარიშო პერიოდისთვის, 14-29 წლამდე ასაკის განრიდებული/პირობით მსჯავრდებული/ყოფილი პატიმარი ახალგაზრდების 56% (1169 პირი) იყო ჩართული რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მომსახურებებში, ხოლო, არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში შემოვიდა 146 მომართვა. აღნიშნული შემთხვევებიდან, არასრულწლოვანთა 51% (75) ჩაერთო სარეაბილიტაციო პროგრამებში.

2023 წელს, არასრულწლოვნებსა და ახალგაზრდებთან სხვადასხვა ნივთიერებასა და ქცევითი დამოკიდებულების დონის შემცირების მიზნით, ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: 1. არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის 42 ბენეფიციარი ჩაერთო „ჯანსაღი ცხოვრების წესი"- ს ხელშეწყობის სარეაბილიტაციო პროგრამაში. 2. მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის ბენეფიციარებიდან, ნივთიერებებისა და ქცევითი დამოკიდებულების რისკის შემცირების მიზნით, ჩატარებულ სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩაერთო 48 ბენეფიციარი. 3. ა(ა)იპ „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის" მიერ განხორციელდა 5 საინფორმაციო შეხვედრა: თბილისში, შიდა ქართლში, მცხეთა-მთიანეთში, ქვემო ქართლსა და კახეთის რეგიონში. აღნიშნულ შეხვედრებს დაესწრო 110 ბენეფიციარი.

- რისკები

სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-ის ლოგიკურ ჩარჩოში აღნიშნული ამოცანის განხორციელებასთან დაკავშირებით განისაზღვრა შემდეგი რისკ-ფაქტორები: საჭირო დაფინანსების ნაკლებობა და კოორდინაციის ნაკლებობა.

აღნიშნული ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში ზემოთაღნიშნული რისკ ფაქტორები არ დამდგარა.

- შემდგომი ნაბიჯები

ამოცანის შესრულების მიმართულებით გაგრძელდება მუშაობა 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაზღვრული კონკრეტული აქტივობების განხორციელების გზით. მათ შორის, დაგეგმილია:

დანაშაულის გამომწვევი ფაქტორების იდენტიფიცირების მიზნით კანონთან კონფლიქტში მყოფ განრიდებულ არასრულწლოვანთა მახასიათებლების კვლევა;

არასრულწლოვნებსა და ახალგაზრდებთან სხვადასხვა ნივთიერებასა და ქცევითი დამოკიდებულების დონის შემცირების მიზნით, საინფორმაციო შეხვედრებისა და სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება;

ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის, ასევე სექსუალური ძალადობის, დისკრიმინაციის საკითხებზე არასრულწლოვნების ცნობიერების ასამაღლებელი საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება;

არასრულწლოვანთა ნაადრევი ქორწინების წინააღმდეგ, ცნობიერების ასამაღლებელი საინფორმაციო კამპანის განხორციელება;

რისკჯგუფებს, (მ. შ ქუჩაში მცხოვრები ბავშვები, საგანმანათლებლო სისტემის გარეთ მყოფი ახალგაზრდები) მიკუთვნებული პირების და მათი ოჯახის წევრებისათვის განათლების, რეაბილიტაცია– რესოციალიზაციას სპეციალიზირებული პროგრამების დანერგვა და სხვა.

ამოცანა 2.5 ბავშვთა/ადრეული ქორწინებებისა და მოზარდთა ორსულობის წინააღმდეგ ბრძოლა

- ამოცანის შედეგის ინდიკატორთან მიმართებაში პროგრესის შესახებ

საანგარიშო პერიოდისთვის, ამოცანა 2.5-ის შედეგის ინდიკატორებთან (2.5.1 მოზარდთა შობადობის მაჩვენებელი (1000, 15-19 ასაკის ქალებზე); 2.5.2 20-24 წლის ქალთა პროცენტული რაოდენობა, რომლებიც 18 წლამდე დაქორწინდნენ) მიმართებით ინფორმაცია არ მოიპოვება, შესაბამისად პროგრესის გაზომვა ვერ ხერხდება.

- წარმატებული ისტორიები

საანგარიშო პერიოდისთვის ამოცანის ფარგლებში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პასუხისმგებლობის ქვეშ განისაზღვრა 6 აქტივობა.

გამომდინარე იქიდან, რომ აქტივობებზე პასუხისმგებელი უწყების შესაბამისი ქვედანაყოფის მიერ არ იქნა მოწოდებული სამოქმედო გეგმის ერთწლიანი ანგარიში, ხოლო 6 თვის ანგარიშის შესაბამისად მხოლოდ ერთი აქტივობა განხორციელდა ნაწილობრივ (25%), სსიპ ახალგაზროდბის სააგენტოს მხრიდან შეუძლებელია წარმატებული ისტორიების განსაზღვრა.

საანგარიშო პერიოდისთვის ამოცანის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა პასუხისმგებლობის ქვეშ განისაზღვრა და განხორციელდა 1 აქტივობა:

საანგარიშო პერიოდში, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, უკვე მეოთხედ, გაეროს მოსახლეობის ფონდთან (UNFPA) თანამშრომლობით, სიმბოლურად, ბავშვთა დაცვის დღეს, პირველ ივნისს დაიწყო ბავშვობის ასაკში ქორწინების ხელშემწყობი დანაშაულების აღმოფხვრისა და ამ საკითხზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, ასევე, აღნიშნული დანაშაულის შესახებ სამართალდამცველებისთვის დროული შეტყობინების მიზნით, საინფორმაციო კამპანია „ნუ წაართმევ ბავშვობას“. ხსენებული კამპანიის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა, გამართეს თემატური შეხვედრები ქ. თბილისსა და ქვეყნის 5 რეგიონში (კახეთი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი). აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში, სამინისტროს წარმომადგენლები 1000-მდე ადამიანს შეხვდნენ, მათ შორის სკოლის მოსწავლეებს, რეფერირების სუბიექტებსა (დირექტორებს, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს, გენდერული საბჭოების წარმომადგენლებს) და ადგილობრივ მოსახლეობას.

- შემდგომი ნაბიჯები

ამოცანის შესრულების მიმართულებით გაგრძელდება მუშაობა 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაზღვრული კონკრეტული აქტივობების განხორციელების გზით. მათ შორის, დაგეგმილია:

სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში ახალგაზრდა შშმ პირების მათ შორის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირებისთვის, რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების შესახებ, მ. შ აივ/შიდსის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება;

მუნიციპალიტეტების დონეზე გენდერული თანასწორობის საბჭოებისა და ქალთა ოთახების წარმომადგენლებისთვის, ადრეულ ასაკში ქორწინების, სელექციური აბორტის და ნაადრევი ორსულობის მავნე პრაქტიკის შესახებ, ცნობიერების ასამაღლებელი საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება;

ოჯახში ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხებზე მანდატურების გადამზადება.

ამოცანა 2.6 ახალგაზრდების/ბავშვთა პერსონალური მონაცემების დაცვის გაუმჯობესება

- ამოცანის შედეგის ინდიკატორთან მიმართებაში პროგრესის შესახებ

ამოცანა 2.6-ის შედეგის ინდიკატორთან მიმართებით, დაფიქსირდა მნიშვნელოვანი პროგრესი, კერძოდ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ ახალგაზრდების/ბავშვთა მონაცემების დამუშავებაზე შესწავლილი საქმეების რაოდენობა გაიზარდა 16-ით (39%).

- წარმატებული ისტორიები

საანგარიშო პერიოდისთვის ამოცანის ფარგლებში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის პასუხისმგებლობის ქვეშ განისაზღვრა და განხორციელდა 2 აქტივობა. განხორციელებული აქტივობებიდან აღსანიშნავია შემდეგი წარმატებული ისტორიები:

პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემაზე ჩატარდა 22 საინფორმაციო შეხვედრა, რომელიც სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებაზე იყო ორიენტირებული. ჯამში, შეხვედრებს 647 ახალგაზრდა დაესწრო. ამასთან, მასწავლებლებთან და უნივერსიტეტების აკადემიურ პერსონალთან 6 შეხვედრა გაიმართა, რომელსაც 297 მონაწილე დაესწრო.

მიზნობრივი ჯგუფებისთვის (25 მოსწავლე) ჩატარდა ახალგაზრდების/ბავშვთა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული 1 სალექციო კურსი. ასევე, ციფრულ გარემოში არასრულწლოვანთა დაცვის თემატიკაზე შემუშავებულია ქართულენოვანი სახელმძღვანელო, რომლის ბეჭდური ვერსიის წარდგენა გაიმართა 2024 წლის 28 იანვარს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის დღეს. ხოლო ინგლისურენოვან ვერსიაზე მუშაობა დასრულდება 2024 წელს, რაც, ასევე, ასახულია მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმაში.

- რისკები

სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-ის ლოგიკურ ჩარჩოში აღნიშნული ამოცანის განხორციელებასთან დაკავშირებით განისაზღვრა შემდეგი რისკ-ფაქტორები: საჭირო ფინანსური და სხვა რესურსის ნაკლებობა, მომართვიანობის ნაკლებობა.

აღნიშნული ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში ზემოთაღნიშნული რისკ ფაქტორები არ დამდგარა.

- შემდგომი ნაბიჯები

ამოცანის შესრულების მიმართულებით გაგრძელდება მუშაობა 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში გასაზღვრული კონკრეტული აქტივობების განხორციელების გზით. მათ შორის, დაგეგმილია:

პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემაზე სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული აქტივობების გამართვა;

არასრულწლოვანთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემატიკაზე შესაბამისი სახელმძღვანელო რეკომენდაციების შემუშავება;

არასრულწლოვანთა დაცვის თემატიკაზე ინგლისურენოვანი სახელმძღვანელო დოკუმენტის მომზადება და გამოცემა.

ამოცანა 3.1 ახალგაზრდების ხარისხიანი და ღირსეული დასაქმების ხელშეწყობა

- ამოცანის შედეგის ინდიკატორთან მიმართებაში პროგრესის შესახებ

საანგარიშო პერიოდისთვის, ამოცანა 3.1-ის 3.1.1 ინდიკატორთან (3.1.1 სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის პროგრამებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა) მიმართებით, საანგარიშო პერიოდისთვის ინფორმაცია არ მოიპოვება, შესაბამისად პროგრესის გაზომვა ვერ ხერხდება.

ხოლო, ამოცანა 3.1.-ის 3.1.2 (3.1.2 სხვაობა 15-29 წლის ახალგაზრდა ქალებსა და მამაკაცებს შორის სამუშაო ძალაში მონაწილეობის დონის მიხედვით) შედეგის ინდიკატორთან მიმართებით, დაფიქსირდა პროგრესი, კერძოდ სხვაობამ 15-29 წლის ახალგაზრდა ქალებსა და მამაკაცებს შორის სამუშაო ძალაში მონაწილეობის დონის მიხედვით შეადგინა 19 %-ს (საბაზისო მონაცემი იყო 20,6%).

ამოცანა 3.1-ის 3.1.3 შედეგის ინდიკატორთან მიმართებით (შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ახალგაზრდების (14-29) წილობრივი მაჩვენებელი) საბაზისო მონაცემი აღებულია კვლევიდან „ახალგაზრდობის საჭიროებები და გამოწვევები მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე“. საანგარიშო პერიოდისთვის აღნიშნული კვლევა ხელახლა არ განხორციელებულა, შესაბამისად მონაცემი არ მოიპოვება.

- წარმატებული ისტორიები

საანგარიშო პერიოდისთვის ამოცანის ფარგლებში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს, სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებლობის ქვეშ განისაზღვრა 13 აქტივობა. განხორციელებული აქტივობებიდან აღსანიშნავია შემდეგი წარმატებული ისტორიები:

2023 წლის 15 მაისს, საქართველოს მთავრობამ დადგენილებით დაამტკიცა საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის ახალი წესი, რომელმაც ჩაანაცვლა სახელმწიფო სტაჟირების არსებული პროგრამა. დადგენილება ახლებურად აწესრიგებს სტაჟიორის მიღების, სტაჟიორთა სავალდებულო კვოტის, სტაჟირების ვადის, სტაჟირების შეწყვეტისა და დასრულების საკითხებს და სტაჟირების გავლის სპეციალურ წესს; ასევე, ადგენს სტაჟიორის, საჯარო დაწესებულების, საჯარო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულის, სტაჟიორის მენტორისა და სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს უფლება-მოვალეობებს. დადგენილება სტაჟიორის მენტორად მოიაზრებს საჯარო დაწესებულებაში სტაჟიორისთვის საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ განსაზღვრულ საჯარო მოსამსახურეს, რომელიც ხელს შეუწყობს სტაჟიორს

პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების შეძენასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში. ამავდროულად, ბიურომ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, მოამზადა მენტორის პრაქტიკული სახელმძღვანელო და ტრენინგ მოდული, რომლებიც დეტალურად აღწერს მენტორული ურთიერთობის პროცესს და მომხმარებელს სთავაზობს ეფექტიანი მენტორული ურთიერთობისთვის საჭირო ყველა ინსტრუმენტს. საკანონმდებლო ცვლილებების გამო, აღნიშნული აქტივობის გაგრძელება გათვალისწინებულია 2024 წლის სამოქმედო გეგმაში, კერძოდ, იგეგმება საჯარო უწყებებში დასაქმებული სტაჟიორების ადაპტაციის ხელშეწყობა, რაც იმას გულისხმობს, რომ ახალი გეგმის ფარგლებში დამატებით შემუშავდება ახალმოსული თანამშრომლების, მათ შორის სტაჟიორების, ადაპტაციის ტრენინგ მოდული, რომელიც ინტეგრირდება 2023 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში შემუშავებულ მენტორინგის სახელმძღვანელოსთან და შედეგად გადამზადდებიან კურატორი საჯარო მოხელეები.

საინფორმაციო კამპანიის - „ინსპექტორის რჩევები“ ფარგლებში ცნობიერების ამაღლების მიზნით მომზადდა და გავრცელდა 10 ვიდეორგოლი, რომელიც განთავსებულ იქნა სამსახურის სოციალურ ქსელებსა (Facebook, Youtube channel) და ოფიციალურ ვებგვერდზე (lio.moh.gov.ge). მომზადებულ ვიდეორგოლებში უშუალოდ შრომის ინსპექტორები მიმართავდნენ საზოგადოებას და აწვდიდნენ დეტალურ ინფორმაციას შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების შესახებ. საინფორმაციო ვიდეორგოლები მოიცავდა ინფორმაციას: ზეგანაკვეთური სამუშაოს შესახებ; ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების წესის შესახებ; მშენებლობაზე მოაჯირების მოწყობის წესის შესახებ; ტექნიკური აღჭურვილობის შემოწმების წესის შესახებ; სექსუალური შევიწროვების შესახებ; შვებულების უფლების შესახებ; დეკრეტული შვებულებით სარგებლობის წესის შესახებ; სამუშაო სივრცეში განათების მოწყობის წესის შესახებ; სამთო-მოპოვებით სფეროში მავნე აირების გამოფრქვევის საფრთხის შესახებ; კვირაში 48 საათიანი სამუშაო გრაფიკის შესახებ;

კარიერული კონსულტირების საჭიროების შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას მიზნით, ანაკლიის ახალგაზრდულ ბანაკში ფსიქოლოგების მიერ ჩატარდა ინტერაქტიული სესია პროფესიის არჩევის, კარიერის დადგეგმვისა და მართვის თემაზე. ინტერაქტიული სესიების/ლექციების მიზანს წარმოადგენდა ბანაკის მონაწილე ახალგაზრდების, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების, აბიტურიენტებისა და სტუდენტებისათვის პროფესიის არჩევის, კარიერის დაგეგმვისა და მართვის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა, ცნობიერების ამაღლება, აღნიშნული მიმართულებით საბაზისო უნარების ათვისება/გაუმჯობესება, ასევე, კარიერის დაგეგმვის საჭიროებისა და მნიშვნელობის შესახებ ახალგაზრდების ინფორმირება და მოტივირება. აღნიშნულ სესიაში 2023 წელს 2337 ახალგაზრდა იყო ჩართული.

- რისკები

სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-ის ლოგიკურ ჩარჩოში აღნიშნული ამოცანის განხორციელებასთან დაკავშირებით განისაზღვრა შემდეგი რისკ-ფაქტორები: საჭირო დაფინანსების ნაკლებობა, პრიორიტეტების ცვლილება, კოორდინაციის ნაკლებობა.

აღნიშნული ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში ზემოთაღნიშნული რისკ ფაქტორები არ დამდგარა.

- შემდგომი ნაბიჯები

ამოცანის შესრულების მიმართულებით გაგრძელდება მუშაობა 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაზღვრული კონკრეტული აქტივობების განხორციელების გზით. მათ შორის, დაგეგმილია:

ახალგაზრდების რეფერირების სქემის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაოს მაძიებელი ახალგაზრდების მეტ ჩართულობას დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებში;

შრომით ნორმებზე, მათ შორის სტაჟირების წესის შესახებ, სტუდენტებისთვის ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება;

საჯარო უწყებებში დასაქმებული სტაჟიორების ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით მენტორთათვის სტაჟიორთა ადაპტაციის ტრენინგ მოდულის შემუშავება და მათი გადამზადება;

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება შინაგან საქმეთა სამინისტროში ახალგაზრდების დასაქმების/სტაჟირების გავლის ხელშეწყობის მიზნით და სხვა.

ამოცანა 3.2 ახალგაზრდული მეწარმეობის გაძლიერება

- ამოცანის შედეგის ინდიკატორთან მიმართებაში პროგრესის შესახებ

ამოცანა 3.2-ის 3.2.1 შედეგის ინდიკატორთან მიმართებით, საბაზისო მონაცემი აღებულია კვლევიდან ,,ახალგაზრდების საჭიროებები და გამოწვევები მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე“, 2021წ. საანგარიშო პერიოდისთვის აღნიშნული კვლევა ხელახლა არ განხორციელებულია, შესაბამისად ამოცანის შედეგის ინდიკატორთან მიმართებაში პროგრესის გაზომვა ვერ ხერხდება.

ამოცანა 3.2-ის 3.2.2 შედეგის ინდიკატორთან მიმართებით, დაფიქსირდა პროგრესი, კერძოდ, სოციალურ საწარმოთა ალიანსის მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის შესაბამისად, საშუალოდ საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოების რაოდენობა 150 ორგანიზაციული ერთეულია და შესაბამისად, 2023 წლის მონაცემებით, საქართველოში მოქმედი, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით და სოციალურ საწარმოთა ალიანსის კრიტერიუმების შესაბამისად განსაზღვრული იმ სოციალური საწარმოების პროცენტული წილი, რომელთა მიზანს ახალგაზრდების და მოწყვლადი ჯგუფების თვითრეალიზაციის ხელშეწყობა წარმოადგენს არის 10%. (საბაზისო მაჩვენებელი- 8%)

ამოცანა 3.2-ის 3.2.3 შედეგის ინდიკატორთან მიმართებით, საბაზისო მონაცემი აღებულია კვლევიდან ,,ახალგაზრდების საჭიროებები და გამოწვევები მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე“, 2021წ. საანგარიშო პერიოდისთვის აღნიშნული კვლევა ხელახლა არ განხორციელებულია, შესაბამისად ამოცანის შედეგის ინდიკატორთან მიმართებაში პროგრესის გაზომვა ვერ ხერხდება.

- წარმატებული ისტორიები

საანგარიშო პერიოდისთვის ამოცანის ფარგლებში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსა და სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს პასუხისმგებლობის ქვეშ განისაზღვრა 7 აქტივობა. განხორციელებული აქტივობებიდან აღსანიშნავია შემდეგი წარმატებული ისტორიები:

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ საქართველოს რეგიონებში (რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო, სვანეთი, მცხეთა-მთიანეთი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, კახეთი, აჭარა, გურია, იმერეთი) განხორციელდა 11 პრე-აქსელერატორის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა ინტენსიური სამეწარმეო ტრენინგები; შედეგად, ბენეფიციარებს ჰქონდათ შესაძლებლობა განევითარებინათ საკუთარი ბიზნეს იდეები და მომზადებულიყვნენ სააგენტოს საგრანტო პროგრამებისთვის. ჯამურად, პროგრამაში ჩაერთო 424 ბენეფიციარი, მათ შორის, 170 იყო ახალგაზრდა;

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ მიმდინარე წელს სულ 6 ტექნოლოგიური ბანაკი განახორციელა. ჯამში, ექვსივე ბანაკში მონაწილეობა მიიღო 356-მა ახალგაზრდამ.

ევროკავშირის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით, პროექტის ,,უნარები წარმატებისთვის“ ფარგლებში, სიტუაციის ანალიზისა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით მომზადდა ახალგაზრდული მეწარმეობის განვითარების კონცეპტუალური დოკუმენტი. დოკუმენტის შექმნის მეთოდოლოგია დაეფუძნა მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მსჯელობასა და მონაწილეობითობის პრინციპს. დოკუმენტი მიმოიხილავს ადგილობრივ კონტექსტს, ევროპულ საუკეთესო გამოცდილებას და თანაშექმნის მიდგომით წარადგენს რეკომენდაციებს საქართველოში ახალგაზრდული მეწარმეობის მხარდასაჭერად. დოკუმენტს დანართის სახით თან ახლავს საჯარო კონსულტაციების ანგარიში და სამოქმედო გეგმა.

- რისკები

სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-ის ლოგიკურ ჩარჩოში აღნიშნული ამოცანის განხორციელებასთან დაკავშირებით განისაზღვრა შემდეგი რისკ-ფაქტორები: საჭირო დაფინანსების ნაკლებობა, პრიორიტეტების ცვლილება, კოორდინაციის ნაკლებობა.

2023 წლის IV კვარტალში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების გამო, ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის საგრანტო კონკურსის გამოცხადება გადაიდო 2024 წლამდე, რამაც შეაფერხა აღნიშნული ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესი.

- შემდგომი ნაბიჯები

ამოცანის შესრულების მიმართულებით გაგრძელდება მუშაობა 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში გასაზღვრული კონკრეტული აქტივობების განხორციელების გზით. მათ შორის, დაგეგმილია:

ახალგაზრდებისთვის ტექნოპარკებში ტექნოლოგიური კვირეულის განხორციელება;

ახალგაზრდებისთვის, მათ შორის, სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის, სამეწარმეო და ტექნოლოგიური ბანაკების განხორციელება;

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მეწარმეობის სწავლება ევროპის სამეწარმეო კომპეტენციების ჩარჩოს (EntreComp) საფუძველზე;

შერჩეულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მეწარმეობირივი კულტურის კონცეფციის დანერგვა;

ახალგაზრდებში სამეწარმეო, მათ შორის, მწვანე და ციფრული მეწარმეობისთვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარების ხელშემწყობი ტრენინგ მოდულის შემუშავება და ახალგაზრდების გადამზადება.

ამოცანა 4.1 ახალგაზრდებში სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაძლიერება

- ამოცანის შედეგის ინდიკატორთან მიმართებაში პროგრესის შესახებ

ამოცანა 4.1-ის 4.1.1 შედეგის ინდიკატორთან მიმართებით, საბაზისო მონაცემი აღებულია კვლევიდან ,,ახალგაზრდების საჭიროებები და გამოწვევები მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე“, 2021წ. საანგარიშო პერიოდისთვის აღნიშნული კვლევა ხელახლა არ განხორციელებულია, შესაბამისად ამოცანის შედეგის ინდიკატორთან მიმართებაში პროგრესის გაზომვა ვერ ხერხდება.

ამოცანა 4.1-ის 4.1.2 შედეგის ინდიკატორთან მიმართებით, საბაზისო მონაცემი აღებულია ფრიდრიხ ებერტის კვლევიდან ,,თაობა გარდამავალ პერიოდში, ახალგაზრდობის კვლევა 2016- საქართველო“. საანგარიშო პერიოდისთვის აღნიშნული კვლევა ხელახლა არ განხორციელებულა, შესაბამისად მონაცემი არ მოიპოვება.

- წარმატებული ისტორიები

საანგარიშო პერიოდისთვის ამოცანის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოსა და სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს პასუხისმგებლობის ქვეშ განისაზღვრა 6

აქტივობა. განხორციელებული აქტივობებიდან აღსანიშნავია შემდეგი წარმატებული ისტორიები:

2023 წელს პროექტი „ჩვენი ჯარი“, საქართველოს მასშტაბით, 1063 საჯარო სკოლაში განხორციელდა. საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეებმა თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო სკოლის მოსწავლეებს ვიდეო და ფოტო მასალით დატვირთული საინტერესო პრეზენტაციები წარუდგინეს. პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებს სამხედროებთან ერთად, პერიოდულად, თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალების მაღალი თანამდებობის პირებიც სტუმრობდნენ და საკუთარ გამოცდილებას უზიარებდნენ. პროექტის აქტუალობიდან და თავდაცვის ახალი კოდექსის მიღებიდან გამომდინარე, საჭირო გახდა "ჩვენი ჯარი" სკოლებთან ერთად უმაღლეს სასწავლებლებშიც განხორციელებულიყო. 2023 წელს, „ჩვენი ჯარის“ პროექტის ფარგლებში უმაღლეს სასწავლებლებში 32 შეხვედრა შედგა.

განხორციელდა პროექტი "ერთი დღე ჯარში", რომლის მიზანია ახალგაზრდა თაობაში თავდაცვის ძალების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა და ქართული ჯარის პოპულარიზაცია. 2023 წელს, სხვადასხვა სამხედრო ბაზამ 200-მდე ახალგაზრდას უმასპინძლა.

ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამოქალაქო განათლების სწავლება განხორციელდა განახლებული მოდულის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს სამოქალაქო განათლების სწავლების პროცესისადმი ჰოლისტურ მიდგომას და ორიენტირებულია, ერთის მხრივ ფაქტობრივი და კონცეპტუალური ცოდნის მიღებაზე, მეორეს მხრივ კი დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქეობის აუცილებელი უნარების გამომუშავებაზე.

განხორციელდა პროგრამა „უცხოეთში მოქმედი ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მხარდაჭერა“, რომლის მიზანია ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება, სამშობლოსთან კავშირების გაღრმავება და ქართული კულტურის პოპულარიზაცია. პროგრამის ფარგლებში შემოსული 19 განაცხადიდან საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გაიმარჯვა 16-მა პროექტმა, საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ თითოეულ კანდიდატს გადაეცემა არაუმეტეს 10 000 ლარი. ასევე, უცხოეთში მცხოვრები მოზარდი თანამემამულეების ეროვნული იდენტობისა და სამშობლოსთან მათი მდგრადი კავშირის შენარჩუნების უზრუნველყოფის მიზნით გრძელდება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან თანამშრომლობით შემუშავებული სახელმძღვანელოების გადაცემა უცხოეთში მოქმედი ქართული საკვირაო სკოლებისა და ქართული ენის შემსწავლელი წრეებისთვის. საანგარიშო პერიოდში 5 საკვირაო სკოლას და ქართული ენის შემსწავლელ ერთ წრეს საერთო ჯამში გადაეცა 300-მდე სახელმძღვანელო და მასწავლებლის გზამკვლევი.

- რისკები

სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-ის ლოგიკურ ჩარჩოში აღნიშნული ამოცანის განხორციელებასთან დაკავშირებით განისაზღვრა შემდეგი რისკ-ფაქტორები: საჭირო დაფინანსების ნაკლებობა, პრიორიტეტების ცვლილება, კოორდინაციის ნაკლებობა.

აღნიშნული ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში ზემოთაღნიშნული რისკ ფაქტორები არ დამდგარა.

- შემდგომი ნაბიჯები

ამოცანის შესრულების მიმართულებით გაგრძელდება მუშაობა 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში გასაზღვრული კონკრეტული აქტივობების განხორციელების გზით. მათ შორის, დაგეგმილია:

სამოქალაქო განათლების სწავლება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

ახალგაზრდებში სამოქალაქო პასუხისმგებლობის, დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების, კულტურათაშორისი დიალოგის, მშვიდობის მშენებლობის ხელშემწყობი საგანმანათლებლო რესურსების შემუშავება და ახალგაზრდების გადამზადება;

საჯარო სკოლებსა და უმაღლეს საგანმანათლებო დაწესებულებებში ცნობიერების ამაღლების მიზნით ლექცია-პრეზენტაციების ჩატარება საქართველოს სამხედრო ისტორიის, საქართველოს ეროვნული გმირების, საქართველოს თავდაცვის ძალების, სამხედრო სამსახურის, საერთაშორისო მისიებში საქართველოს მონაწილეობის, საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის, თავდაცვის სფეროში განხორციელებული რეფორმებისა და თანამედროვე გამოწვევების შესახებ;

გაგრძელდება პროექტები ,,ერთი დღე ჯარში“ და ,,ჯარის ბანაკი“;

საზღვარგარეთ მცხოვრებ ახალგაზრდა თანამემამულეებთან ურთიერთობის განვითარება და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდამჭერის, ასევე ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის ხელშეწყობისა და შენარჩუნების მხარდამჭერის მიზნით საგრანტო კონკურს(ებ)ის ორგანიზება;

ამოცანა 4.2 მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა

- ამოცანის შედეგის ინდიკატორთან მიმართებაში პროგრესის შესახებ

ამოცანა 4.2-ის შედეგის ინდიკატორთან მიმართებით, საბაზისო მონაცემი აღებულია კვლევიდან ,,ახალგაზრდების საჭიროებები და გამოწვევები მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე“, 2021წ. საანგარიშო პერიოდისთვის აღნიშნული კვლევა ხელახლა არ განხორციელებულია, შესაბამისად ამოცანის შედეგის ინდიკატორთან მიმართებაში პროგრესის გაზომვა ვერ ხერხდება.

- წარმატებული ისტორიები

საანგარიშო პერიოდისთვის ამოცანის ფარგლებში განისაზღვრა 9 აქტივობა. განხორციელებული აქტივობებიდან აღსანიშნავია შემდეგი წარმატებული ისტორიები:

სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს მხარდაჭერით და არასამთავრობო ორგანიზაცია "Helping Hand"-ის ორგანიზებით ჩატარდა ყოველწლიური ახალგაზრდა მოხალისის დაჯილდოვების ცერემონია, რომელზეც გამოვლინდნენ გამარჯვებული ახალგაზრდები მოხალისეობის მიმართულებით სხვადასხვა ნომინაციაში.

სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოსთან თანამშრომლობით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“ ფარგლებში, მომზადდა შედარებითი ანალიზი თემაზე: „მოხალისეობრივი საქმიანობა საქართველოში და ევროპაში”. დოკუმენტი ასევე მოიცავს სამართლებრივი ბაზის სრულყოფასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს. აღნიშნული ინიციატივა გახდა მოხალისეობის თემაზე მომუშავე ორგანზიაციების სტრუქტურული დიალოგის პლატფორმის/ სამუშაო ჯგუფის შექმნის საფუძველი, რომელიც შემდგომში განიხილება, მოხალისეობის თემაზე მომუშავე ორგანიზაციების პლატფორმაზე და სააგენტო მიიღებს უკუკავშირს აქტივობებზე და მათი სახელმწიფოს სამოქმედო გეგმაში ასახვის თაობაზე.

სსიპ ახალგაზრდობის სააგენტომ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარტნიორობით განახორციელა ,,თსუ-ს ახალგაზრდული ფორუმი“, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა ახალგაზრდების მოხალისეობასთან დაკავშირებული ერთდღიანი სამუშაო სესია. კერძოდ, მონაწილეებს წარედგინათ პრეზენტაციები შემდეგ თემებზე: სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო და მოხალისეობა, მოხალისოების აღრიცხვისა და საათების დათვლის სისტემა, ,,წლის ახალგაზრდა მოხალისის" ჯილდო და კატასტროფებზე რეაგირების დროს მოხალისეების როლი. სესიის ბოლოს ფორუმის მონაწილეებმა, ჯგუფური მუშაობის ფორმატში შეიმუშავეს და აუდიტორიას წარუდგინეს ის კონკრეტული აქტივობები/რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას მოხალისეობრივ პროგრამებში. საერთო ჯამში, ღონისძიებაში 200-მდე ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა.

- რისკები

სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-ის ლოგიკურ ჩარჩოში აღნიშნული ამოცანის განხორციელებასთან დაკავშირებით განისაზღვრა შემდეგი რისკ-ფაქტორები: საჭირო დაფინანსების ნაკლებობა, პრიორიტეტების ცვლილება, ხარისხის დოკუმენტებისა და აღიარების სისტემის არარსებობა.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს ამოცანის ფარგლებში, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობებიდან 4 აქტივობის განხორციელება არ დაწყებულა, ხოლო 1 აქტივობა გაუქმდა, რაც ზემოთაღნიშნული რისკ-ფაქტორებიდან მნიშვნელოვანწილად იყო განპირობებული პრიორიტეტის ცვლილებითა და საჭირო დაფინანსების ნაკლებობით.

- შემდგომი ნაბიჯები

ამოცანის შესრულების მიმართულებით გაგრძელდება მუშაობა 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში გასაზღვრული კონკრეტული აქტივობების განხორციელების გზით. მათ შორის, დაგეგმილია:

ახალგაზრდული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა ახალგაზრდების მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვის მიზნით;

მოხალისეობის თემაზე რესურსების (გზამკვლევები, ტრენინგ მოდულები, ონლაინ კურსები, რეკომენდაციები, საუკეთესო პრაქტიკის ინსტრუმენტთა ნაკრები) შემუშავება და დაინტერესებული მხარეების გადამზადება;

ახალგაზრდებში მოხალისეობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით კონკურსების, ფესტივალებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზება.

ამოცანა 4.3 გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა

- ამოცანის შედეგის ინდიკატორთან მიმართებაში პროგრესის შესახებ

ამოცანა 4.3-ის შედეგის ინდიკატორთან მიმართებით, საბაზისო მონაცემი აღებულია კვლევიდან ,,ახალგაზრდების საჭიროებები და გამოწვევები მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე“, 2021წ. საანგარიშო პერიოდისთვის აღნიშნული კვლევა ხელახლა არ განხორციელებულია, შესაბამისად ამოცანის შედეგის ინდიკატორთან მიმართებაში პროგრესის გაზომვა ვერ ხერხდება.

ამასთან, 2023 წელს სსიპ ახალგაზრდობი სააგენტოს პარტნიორობით ჩატარებულ ერთ-ერთ ღონისძიებაზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 383 ახალგაზრდა (14-30 წლის), ჩატარდა გამოკითხვა, საიდანაც ჩანს, რომ გამოკითხულთა 28% -მა განაცხადა, რომ მიუღია მონაწილეობა გასული 12 თვის მანძილზე რაიმე ფორმით გადაწყვეტილების მიღების პროცესში (ადგილობრივი თვითმმართველობის, უნივერსიტეტის, სკოლის, საბჭოს, თემის ან სხვა), თუმცა აღნიშნული კვლევა არ არის რეპრეზენტატული და ვერ განზოგადდება მთელი ქვეყნების ახალგაზრდებზე.

- წარმატებული ისტორიები

საანგარიშო პერიოდისთვის ამოცანის ფარგლებში განისაზღვრა 10 აქტივობა. განხორციელებული აქტივობებიდან აღსანიშნავია შემდეგი წარმატებული ისტორიები:

სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ მომზადდა სტრუქტურული დიალოგის პლატფორმის მოდელი, რის საფუძველზეც სააგენტოსა და პარტნიორი ორგანიზაციების მონაწილეობით შეიქმნა სხვადასხვა თემაზე მომუშავე პლატფორმები. ჯამში 2023 წელს გაიმართა სტრუქტურული დიალოგის 10 შეხვედრა და მომზადდა შესაბამისი ანგარიშები.

სააგენტოში არსებული სივრცეები (კინო დარბაზი, ბიბლიოთეკის სივრცე) დატვირთული იყო აქტიურ რეჟიმში. ახალგაზრდულ ორგანიზაციებს აქვთ შესაძლებლობა სააგენტოში არსებული სივრცეები გამოიყენონ უსასყიდლოდ, ტრენინგების, საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრებისა და კინო ჩვენებებისთვის. 2023 წლის განმავლობაში აღნიშნულ სივრცეებში გამართულ აქტივობებში ჩაერთო 4656-მდე ბენეფიციარი. ამას გარდა, სააგენტოში არსებული შშმ პირთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი დარბაზით სარგებლობს სამი დღის ცენტრი: „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“, „ბავშვი და გარემო“, სმენის, მეტყველებისა და ინტელექტუალური შეფერხების ასოციაცია „იკა“ და 8 ინდივიდუალური ბენეფიციარი. ჯამში სპორტულ-გამაჯანსაღებელი დარბაზით სარგებლობს 47 ბენეფიციარი.

ასევე, 2023 წელს დასრულდა საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული პროექტი: „ხაშურის ახალგაზრდული სივრცის შექმნა არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით“, რომელიც ითვალისწინებდა ხაშურის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული სივრცის შექმნა/განვითარებას, ახალგაზრდული საქმიანობის განხორციელებასა და არაფორმალური განათლების მეთოდების გამოყენებით მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სხვადასხვა კომპეტენციების განვითარებას. პროექტის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებში/ტრენინგებში/სემინარებში მონაწილეობა მიიღო 14-29 წლის, ასევე 14-მდე და 29 წელს ზევით ასაკის 148 ბენეფიციარმა (მათ შორის: შშმ პირები და საოკუპაციო გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდები).

გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის დაფინანსებით, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა (GIPA), სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოსთან თანამშრომლობით ჩაატარა კვლევა და შეიმუშავა რეკომენდაციები საქართველოსთვის ახალგაზრდების არსებითი მონაწილეობის გაზრდისთვის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (შვედური და ფინური გამოცდილების საფუძველზე). რეკომენდაციების საფუძველზე იგეგმება სახელმძღვანელო დოკუმენტის: ,,როგორ შევქმნათ ახალგაზრდული საბჭო, გზამკვლევის" განახლება. ახალგაზრდობის სააგენტოს მხარდაჭერით და ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს ინიცირებით, შეიქმნა ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოების ასოციაცია, რომლის მთავარი მისიაა საბჭოების ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, მათი გაძლიერება და დიალოგისთვის პლატფორმის შექმნა. ასოციაცია სააგენტოს მონაწილეობით ატარებს რეგულარულ შეხვედრებს ადგილობრივ ახალგაზრდულ საბჭოებთან, მათი შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით.

გაგრძელდა სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოსთან არსებული ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს პროგრამის განხორციელება. 2023 წლის აპრილში გამოცხადდა ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრების შესარჩევი კონკურსი. ღია კონკურსის საფუძველზე „ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს" დებულებით განსაზღვრული წესებისა და პრინციპების გათვალისწინებით, გენდერული ბალანსის დაცვით შეირჩა საბჭოს 22 წევრი

(16-26 წლამდე ახალგაზრდები). მთელი წლის განმავლობაში საბჭომ არაერთი შეხვედრა გამართა, სადაც განიხილეს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026, იმსჯელეს სამოქმედო გეგმაზე და მათ მიერ მოსამზადებელ რეკომენდაციებზე. 2023 წლის ბოლოს მრჩეველთა საბჭომ სააგენტოს, რეკომენდაციის სახით წარუდგინა 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის სავარაუდო აქტივობები, სტრატეგიის 5 მიზნის შესაბამისად. მანდატის დასრულებამდე (2024 წლის ივნისი) საბჭო განაგრძობს ფუნქციონირებას.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს პასუხისმგებლობის ქვეშ განხორციელდა შემდეგი აქტივობა: ექსტრაკურიკულური აქტივობების ხელშეწყობის ფარგლებში 2 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეიქმნა სტუდენტური თვითმმართველობა, ხოლო 3 დაწესებულებაში გადაიხედა არსებული თვითმმართველობის სტრუქტურა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებლობის ქვეშ განხორციელდა პროგრამა „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“. კონკურსის ფარგლებში შემოსული 42 განაცხადიდან საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით გამოვლინდა 16 გამარჯვებული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნაში. აღნიშნული პროგრამის საშუალებით, საზღვარგარეთ მცხოვრებ ახალგაზრდებს შესაძლებლობა ჰქონდათ 2023 წლის განმავლობაში ყოფილიყვნენ „ახალგაზრდა ელჩები“ ადგილსამყოფელ ქვეყნებში და მოეხდინათ მათი თანატოლი ქართველი და უცხოელი ახალგაზრდების ინფორმირება საქართველოს შესახებ, კერძოდ, ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და აწმყოს, მისი ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების, დეოკუპაციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების, აგრეთვე, ქვეყნის კულტურის, განათლების, ტრადიციების, ეკონომიკის, სპორტის და ახალგაზრდული პოლიტიკის თაობაზე.

- რისკები

სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-ის ლოგიკურ ჩარჩოში აღნიშნული ამოცანის განხორციელებასთან დაკავშირებით განისაზღვრა შემდეგი რისკ-ფაქტორები: საჭირო დაფინანსების ნაკლებობა, პრიორიტეტების ცვლილება, კოორდინაციის ნაკლებობა.

აღნიშნული ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში ზემოთაღნიშნული რისკ ფაქტორები არ დამდგარა.

- შემდგომი ნაბიჯები

ამოცანის შესრულების მიმართულებით გაგრძელდება მუშაობა 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში გასაზღვრული კონკრეტული აქტივობების განხორციელების გზით. მათ შორის, დაგეგმილია:

ახალგაზრდული სივრცეების შექმნა და არსებული სივრცეების მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფა;

„საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი გაეროში“ პროგრამის ფარგლებში ახალგაზრდობის წარმომადგენლის შერჩევა და დაფინანსება;

სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოსთან არსებული ,,ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს"დაკომპლექტება და ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის წახალისების მიზნით ფორუმების ჩატარება;

მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდული საბჭოების შექმნისა და არსებული ახალგაზრდული საბჭოების განვითარების ხელშწყობა.

ამოცანა 4.4 ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების მხარდამჭერი მექანიზმების განვითარება

- ამოცანის შედეგის ინდიკატორთან მიმართებაში პროგრესის შესახებ

ამოცანა 4.4-ის შედეგის ინდიკატორთან მიმართებით, საბაზისო მონაცემი აღებულია კვლევიდან ,,ახალგაზრდული ორგანიზაციების მდგომარეობა საქართველოში, 2021წ“. საანგარიშო პერიოდისთვის აღნიშნული კვლევა ხელახლა არ განხორციელებულია, შესაბამისად ამოცანის შედეგის ინდიკატორთან მიმართებაში პროგრესის გაზომვა ვერ ხერხდება.

- წარმატებული ისტორიები

საანგარიშო პერიოდისთვის ამოცანის ფარგლებში განისაზღვრა 7 აქტივობა. განხორციელებული აქტივობებიდან აღსანიშნავია შემდეგი წარმატებული ისტორიები:

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის მიერ განხორციელდა შემდეგი აქტივობა: მკვლევართა ჯგუფმა მოამზადა და წარმოადგინა კვლევის „ახალგაზრდული ორგანიზაციების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის სისტემის გაუმჯობესება: ანალიზი და საკანონმდებლო წინადადებები“ ანგარიში. კვლევაში, მტკიცებულებებზე დაფუძნებით, განისაზღვრა ახალგაზრდული ორგანიზაციების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მექანიზმების განვითარების მიმართულებები, მიდგომები. ჩატარებული სამუშაოები მოიცავდა განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით სამაგიდე კვლევას, მათ შორის საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვას და დაინტერესებულ სუბიექტებთან კონსულტაციებს. ანგარიშში „ახალგაზრდული ორგანიზაციების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის სისტემის გაუმჯობესება: ანალიზი და საკანონმდებლო წინადადებები“ წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინება და პრაქტიკაში დანერგვა, ხელს შეუწყოს საქართველოში ახალგაზრდული ინიციატივებისა და ორგანიზაციების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის სისტემის შემდგომ გაუმჯობესებას და მისი ხელმისაწვდომობის ზრდას.

სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოსა და ევროპის ახალგაზრდულ ფონდს (EYF) შორის თანამშრომლობის ფარგლებში თბილისში განხორციელდა საინფორმაციო და სატრენინგო სესია, სადაც მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების 20-მა წარმომადგენელმა. სესიაზე აქცენტი გაკეთდა ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ პრიორიტეტებზე, საგანმანათლებლო მექანიზმებზე და საგრანტო პროგრამებზე. მონაწილეებს საკუთარი გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა მიეცათ ახალგაზრდული საქმიანობის მიმართულებით. ასევე, განიხილეს სფეროში არსებული გამოწვევები და საჭიროებები.

სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს საგრანტო კონკურსის განმცხადებელთათვის გამოცხადდა ღია კონკურსი ტრენინგ კურსზე მონაწილეების შესარჩევად. მთელი საქართველოს მასშტაბით შეირჩა 20 ორგანიზაცია - ჯამში 20 მონაწილე (მათ შორის მონაწილეებს შორის იყვნენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი და ნაკლები შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდები). ტრენინგი მიზნად ისახავდა საქართველოს რეგიონებში პოტენციური მიკრო/მცირე მეწარმეებისთვის ან ბიზნეს კონსულტაციის მიღების მსურველთათვის ტრენინგების ჩატარებას მეწარმეობის განვითარების მიზნით. ტრენინგების საშუალებით აპლიკანტ ახალგაზრდებს შესაძლებლობა ჰქონდათ განევითარებინათ ის კომპეტენციები და უნარები, რაც სამომავლოდ მათ აპლიკაციას მეტად ხარისხიანს და წარმატებულს გახდის.

- რისკები

სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-ის ლოგიკურ ჩარჩოში აღნიშნული ამოცანის განხორციელებასთან დაკავშირებით განისაზღვრა შემდეგი რისკ-ფაქტორები: საჭირო დაფინანსების ნაკლებობა, პრიორიტეტების ცვლილება, კოორდინაციის ნაკლებობა.

2023 წლის IV კვარტალში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების გამო, ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის საგრანტო კონკურსის გამოცხადება გადაიდო 2024 წლამდე, რამაც შეაფერხა აღნიშნული ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესი.

- შემდგომი ნაბიჯები

ამოცანის შესრულების მიმართულებით გაგრძელდება მუშაობა 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში გასაზღვრული კონკრეტული აქტივობების განხორციელების გზით. მათ შორის, დაგეგმილია:

ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის საგრანტო კონკურსისთვის ბიუჯეტის გაზრდა და ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფებისთვის წლის განმავლობაში რამდენიმე საგრანტო კონკურსების ორგანიზება;

ახალგაზრდული ორგანიზაციების ფორუმის ჩატარება;

ახალგაზრდული ორგანიზაციების და ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფებისთვის კომპეტენციების განვითარების ხელშესაწყობად სასწავლო პროგრამების შემუშავება და ახალგაზრდული ორგანიზაციების, ასევე ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლების გადამზადება.

ამოცანა 4.5 ნაკლები შესაძლებლობის მქონე, შშმ ახალგაზრდების, ასევე ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების საჭიროებებზე მიმართული პროგრამების და სერვისების განვითარება

- ამოცანის შედეგის ინდიკატორთან მიმართებაში პროგრესის შესახებ

საანგარიშო პერიოდისთვის, ამოცანა 4.5-ის 4.5.1 შედეგის ინდიკატორთან (ნაკლები შესაძლებლობის მქონე, შშმ ახალგაზრდების, ასევე ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების (14-29 წლის ასაკობრივი ჯგუფი) რიცხვი, რომლებიც სარგებლობენ საჭიროებებზე მორგებული პროგრამებითა და სერვისებით) მიმართებით, საანგარიშო პერიოდისთვის ინფორმაცია არ მოიპოვება, შესაბამისად პროგრესის გაზომვა ვერ ხერხდება.

- წარმატებული ისტორიები

საანგარიშო პერიოდისთვის ამოცანის ფარგლებში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პასუხისმგებლობის ქვეშ განისაზღვრა 5 აქტივობა. განხორციელებული აქტივობებიდან აღსანიშნავია შემდეგი წარმატებული ისტორიები:

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური უმცირესობების მჭიდროდ დასახლებული სოფლებში წარიმართა ფართომასშტაბიანი ორენოვანი საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანია განათლების, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ეკონომიკური შესაძლებლობების, ასევე იურიდიული დახმარების საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ: შეხვედრები ჩატარდა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ 120-მდე სოფლის მოსახლეობისთვის (5000-მდე ბენეფიციარი), მათ შორის 1000-მდე ახალგაზრდა.

ასევე, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროსთან თანამშრომლობით წლის განმავლობაში გამოაცხადა სტაჟირების პროგრამა „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით“ (“1+4 პროგრამა”) მოსარგებლე პირებისათვის. სტაჟირების პროგრამის მიზანია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის საჯარო სამსახურის საქმიანობის სპეციფიკის გაცნობა, პროფესიული და საქმიანი უნარ-ჩვევების განვითარება და საბოლოო ჯამში, მათი ჩართულობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის სახელმწიფო პროგრამების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელდა ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებული სოფლების მოსახლეობასთან. შეხვედრების მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია, პროფესიული განათლების მიმართულებით არსებული სერვისების, პროგრამების და შესაძლებლობების შესახებ, მათ შორის სახელმწიფო ენის სწავლების მიმართულებით არსებული მიდგომებისა და ახალი პროგრამის შესახებ. კამპანიის ფარგლებში, შეხვედრები გაიმართა კახეთის რეგიონის სამი მუნიციპალიტეტის (ახმეტა, საგარეჯო, ლაგოდეხი) და სამცხე-ჯავახეთის სამი მუნიციპალიტეტის (ახალქალაქი, ასპინძა, ნინოწმინდა) ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებული სოფლების მოსახლეობასთან. ჯამში, კამპანიის ფარგლებში განხორციელდა 18 შეხვედრა.

- რისკები

სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-ის ლოგიკურ ჩარჩოში აღნიშნული ამოცანის განხორციელებასთან დაკავშირებით განისაზღვრა შემდეგი რისკ-ფაქტორები: საჭირო დაფინანსების ნაკლებობა, პრიორიტეტების ცვლილება, კოორდინაციის ნაკლებობა

აღნიშნული ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში ზემოთაღნიშნული რისკ ფაქტორები არ დამდგარა.

- შემდგომი ნაბიჯები

ამოცანის შესრულების მიმართულებით გაგრძელდება მუშაობა 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაზღვრული კონკრეტული აქტივობების განხორციელების გზით. მათ შორის, დაგეგმილია:

სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება;

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების ახალგაზრდებისთვის კულტურულ-საგანმანათლებლო სემინარების ჩატარება;

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობად სტაჟირების პროგრამის განხორციელება;

შშმ ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით პერსონალური ასისტენტის მომსახურების დანერგვა და სხვა.

ამოცანა 4.6 საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების შესაბამისი პროგრამებისა და სერვისების განვითარება

- ამოცანის შედეგის ინდიკატორთან მიმართებაში პროგრესის შესახებ

ამოცანა 4.6-ის შედეგის ინდიკატორთან (საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების შესაბამისი პროგრამებით და სერვისებით მოსარგებლე ახალგაზრდების რაოდენობა) მიმართებით, სხვადასხვა მიზეზების გამო, მონაცემები არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი, შესაბამისად პროგრესის წარმოდგენა ვერ ხერხდება.

- წარმატებული ისტორიები

საანგარიშო პერიოდისთვის ამოცანის ფარგლებში, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის პასუხისმგებლობის ქვეშ, განისაზღვრა და 100%-ით განხორციელდა 4 აქტივობა. განხორციელებული აქტივობებიდან აღსანიშნავია შემდეგი წარმატებული ისტორიები:

ხარისხიან განათლებაზე შეუფერხებელი წვდომის უზრუნველსაყოფად, შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის, მათ შორის სამშვიდობო ინიციატივის "ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" ფარგლებში, ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის მოქმედებდა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უგამოცდოდ ჩარიცხვის პროცედურა. ამასთან, გაგრძელდა ე.წ. „1+4“ პროგრამის განხორციელება, რომელიც საშუალებას აძლევს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, მათ შორის აფხაზებსა და ოსებს, გამარტივებული წესით ჩაირიცხონ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მშობლიურ ენაზე მხოლოდ ერთი გამოცდის ჩაბარების გზით. 2023 წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ოკუპირებული ტერიტორიებიდან უგამოცდოდ ჩაირიცხა 235 სტუდენტი; ამასთან, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო, ე.წ. „1+4“ პროგრამის ფარგლებში უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე, ჩაირიცხა 4 ოსურენოვანი ახალგაზრდა, ხოლო საკუთარი სურვილით ეროვნული გამოცდების გავლის შედეგად - 6 ახალგაზრდა.

გაგრძელდა ჯანდაცვის სახელმწიფო რეფერალური პროგრამის ეფექტიანი ფუნქციონირება, რომელიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ პირებს ჯანდაცვის მომსახურებას უფასოდ აწვდის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში. 2023 წელს აღნიშნული პროგრამით ორივე რეგიონიდან 70-მა ახალგაზრდა პირმა ისარგებლა.

ჩატარდა მშვიდობის ფონდის (სამშვიდობო ინიციატივის "ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" ფარგლებში მოქმედი "მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის") რიგით მე-4 საგრანტო კონკურსი, რომლის მიზანია ხელოვნურად გაყოფილ საზოგადოებებს, მათ შორის ახალგაზრდებს შორის დიალოგის, ნდობის აღდგენის და საერთო ინტერესების გარშემო თანამშრომლობის ხელშეწყობა გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მიკრო კომერციული გრანტების გაცემის გზით, რაც ასევე ხელს უწყობს კონფლიქტის შედეგად

დაზარალებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. კონკურსის შედეგად ოკუპირებული რეგიონებიდან ჯამში 129 ბიზნეს-განაცხადი დარეგისტრირდა. ამჟამად მიმდინარეობს ფონდის მიერ დაფინანსებული 100-მდე პროექტის განხორციელება, სადაც ჩართულია 20 ახალგაზრდა ბენეფიციარი.

2023 წელს, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა კიდევ უფრო გააფართოვა 2021 წელს დაარსებული ინიციატივა „მშვიდობის ჯილდო ახალგაზრდებისთვის“, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრა ახალი თემატური ნომინაციები - „საუკეთესო სამშვიდობო საქმიანობა“, „საუკეთესო სამშვიდობო იდეა“ და „საუკეთესო სამშვიდობო გზავნილი“; 21 სექტემბერს, მშვიდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ, მაღალი დონის ყოველწლიურ ღონისძიებაზე - „ახალგაზრდები უკეთესი მომავლისთვის“ - თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებულს გადაეცა ფულადი პრემია 3000 ლარის ოდენობით. სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და ევროსაბჭოს მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, სამივე ნომინაციაში გამარჯვებულმა ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს სტრასბურგში, დემოკრატიის მსოფლიო ფორუმში, რომელიც მშვიდობის თემას ეძღვნებოდა. გარდა ამისა, გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) უზრუნველყო „საუკეთესო სამშვიდობო იდეის“ ნომინაციაში გამარჯვებული პროექტის დაფინანსება.

რისკები

სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-ის ლოგიკურ ჩარჩოში აღნიშნული ამოცანის განხორციელებასთან დაკავშირებით განისაზღვრა შემდეგი რისკ-ფაქტორები: საჭირო დაფინანსების ნაკლებობა და კოორდინაციის ნაკლებობა.

აღნიშნული ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში ზემოთაღნიშნული რისკ ფაქტორები არ დამდგარა.

- ### შემდგომი ნაბიჯები

ამოცანის შესრულების მიმართულებით გაგრძელდება მუშაობა 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში გასაზღვრული კონკრეტული აქტივობების განხორციელების გზით. მათ შორის, 2023 წელს წარმატებით განხორციელებულ აქტივობებს ექნება განგრძობადი ხასიათი.

ამოცანა 5.1 ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავების მხარდაჭერა

- ### ამოცანის შედეგის ინდიკატორთან მიმართებაში პროგრესის შესახებ

ამოცანა 5.1-ის შედეგის ინდიკატორთან მიმართებით, საანგარიშო პერიოდისთვის დაფიქსირდა მნიშვნელოვანი პროგრესი. კერძოდ, „მუნიციპალური ახალგაზრდული სტრატეგიები“ და სამოქმედო გეგმები ამ ეტაპისთვის დამტკიცებულია 26 მუნიციპალიტეტში (ამოცანის შედეგის შუალედური მაჩვენებელია 30), მათგან საქართველოს 6 მუნიციპალიტეტში (ბათუმი, ამბროლაური, თეთრიწყარო, დუშეთი, საჩხერე, ხაშური) დასრულებულია 2023-2026 წწ. მუნიციპალური ახალგაზრდობის

სტრატეგიისა და ერთწლიან სამოქმედო გეგმებზე მუშაობა. 4 მათგანში სტრატეგიული დოკუმენტები დამტკიცებულია საკრებულოების მიერ, ხოლო დუშეთისა და თეთრიწყაროში მიმდინარეობს დასამტკიცებლად წარდგენის პროცედურები. აღნიშნული პროგრესი მნიშვნელოვანწილად უკავშირდება სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ 2020-2022 წლებში გატარებულ მუნიციპალურ რეფორმას, რამაც მდგრადობა შეინარჩუნა და ეს პროცესი შეუფერხებლად გრძელდება.

- წარმატებული ისტორიები

საანგარიშო პერიოდისთვის ამოცანის ფარგლებში წარმატებით განხორციელდა რამდენიმე აქტივობა:

მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის კოორდინატორის პოზიციის განვითარების მიზნით, სიტუაციის ანალიზისა და საერთაშორისო პრაქტიკის კვლევის გათვალისწინებით, შემუშავებულია მუნიციპალური ახალგაზრდობის კოორდინატორის“ კომპეტენციების ჩარჩო დუკუმენტი, რომელიც სარეკომენდაციო ხასიათისაა მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის ქვეპროგრამის მონაწილე ყველა მუნიციპალიტეტისთვის.

პერიოდულად ახლდება ახალგაზრდული პოლიტიკის შესახებ არსებული ელექტრონული ბიბლიოთეკა და ემატება სფეროში არსებული უახლესი მასალები (დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართი 1-ში), ხოლო ახალგაზრდულ თემაზე გამართული სხვადასხვა ღონისძიების ფარგლებში ხორციელდება ელექტრონული ბიბლიოთეკის პოპულარიზაციის კამპანიები.

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამის (Skills4Jobs) ფარგლებში, სიტუაციის ანალიზის, საერთაშორისო გამოცდილებისა და ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, შემუშავდა ,,კანონი ახალგაზრდობის შესახებ“-სამუშაო ვერსია (,,Draft Law on Youth"), რომელიც მოიცავს ახალგაზრდული პოლიტიკის კომპონენტსაც. ასევე, ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის დეპარტამენტის, ორმხრივი მხარდაჭერის ღონისძიებების ფარგლებში (Bilateral support measures) ახალგაზრდული პოლიტიკის საერთაშორისო ექსპერტმა ჰოვარდ ვილიამსონმა წარმოადგინა სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-ის და ,,კანონი ახალგაზრდობის შესახებ'' რევიზია.

სსიპ ახალგაზრდობის სააგენტომ, როგორც ახალგაზრდულ საკითხებზე, ევროპის საბჭოს კამპანია “დემოკრატია აქ |დემოკრატია ახლა”-ს საკონტაქტო უწყებამ აჭარის რეგიონულ ცენტრთან თანამშრომლობით მონაწილეობა მიიღო ,,ახალგაზრდული დიალოგი 2023”-ის ორგანიზებისა და განხორციელების პროცესში. ღონისძიებაში ჩართული იყო 30 ქართველი და 25 უცხოელი ახალგაზრდა. ღონისძიების მიზანი იყო ახალგაზრდების მონაწილეობის გაძლიერება დემოკრატიულ ცხოვრებაში ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე, ასევე ახალგაზრდებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის სტიმულირება ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით. ღონისძიების ფარგლებში, გაიმართა პრეზენტაცია: ,,პოლიტიკის რეკომენდაციები ახალგაზრდების არსებითი მონაწილეობისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში (შვედეთისა და

ფინეთის მოდელზე დაყრდნობით)" (Policy Recommendations for Increasing Meaningful Participation of Youth in Georgian Decision-making (based on Swedish and Finnish Practices).

- რისკები

სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-ის ლოგიკურ ჩარჩოში აღნიშნული ამოცანის განხორციელებასთან დაკავშირებით განისაზღვრა შემდეგი რისკ-ფაქტორები: საჭირო დაფინანსების ნაკლებობა, პრიორიტეტების ცვლილება და კოორდინაციის ნაკლებობა.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს ამოცანის ფარგლებში, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული 12 აქტივობიდან 100%-ით განხორციელდა 3 აქტივობა, ხოლო 1 აქტივობა განხორციელდა ნაწილობრივ, რაც ზემოთაღნიშნული რისკ-ფაქტორებიდან მნიშვნელოვანწილად იყო განპირობებული პრიორიტეტის ცვლილებითა და საჭირო დაფინანსების ნაკლებობით.

რაც შეეხება კოორდინაციის ნაკლებობას, გამომდინარე იქიდან, რომ სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობისთვის შემუშავებული აქვს შიდა კოორდინაციის მექანიზმი, ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში აღნიშნული რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

- შემდგომი ნაბიჯები

ამოცანის შესრულების მიმართულებით გაგრძელდება მუშაობა 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში გასაზღვრული კონკრეტული აქტივობების განხორციელების გზით. მათ შორის, დაგეგმილია:

მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის ფორუმის ჩატარება, ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების თაობაზე გამოცდილების გაზიარების მიზნით;

იგეგმება ადგილობრივ თვითმმართველობებთან ერთად მუნიციპალური ახალგაზრდული ინიციატივების თანადაფინანსების მექანიზმის შემუშავება;

მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის კოორდინატორებისა და მუნიციპალიტეტში ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე სპეციალისტების პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად ჩატარდება საჭიროებების მოკვლევა, შემუშავდება რეკომენდაციები და დაიგეგმება შესაბამისი ტრენინგები.

გამოწვევები და რეკომენდაციები

- მთავარი გამოწვევა, რაც სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგიის 2023 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელებას უკავშირდება არის სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის უწყებათაშორისი საბჭოს არარსებობა. როგორც სტრატეგიაშია აღნიშნული: ,,საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე შეიქმნება სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის უწყებათაშორისი საბჭო, რომლის მიზანი იქნება ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროში საქართველოს მთავრობის ერთიანი პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა, „სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026”-ის, მისი სამოქმედო გეგმ(ებ)ისა და სფეროსთან დაკავშირებული სხვა პოლიტიკის დოკუმენტების შესრულების კოორდინაცია, მონიტორინგი და შეფასება.” აღნიშნული საბჭოს არარსებობა კი უწყებებს შორის კოორდინაციის პრობლემას აჩენს, რაც საბოლოო ჯამში სამოქმედო გეგმის შესრულებაზე უარყოფითად აისახება; უმნიშვნელოვანესია, რომ უახლოეს პერიოდში დამტკიცდეს უწყებათაშორისო საბჭოს დებულება და შეიქმნას ქმედითუნარიანი საბჭო. ამასთან, პასუხისმგებელი უწყებებიდან პოლიტიკის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირების შეკრება, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ე.წ ვორქშოპის სახე, მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს უწყებებს შორის კოორდინაციის გაზრდას და სამომავლო ნაბიჯების დაგეგმვას.
- მაკოორდინირებული უწყების (სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს) შემთხვევაში მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო ერთწლიანი პერიოდისთვის აქტივობების საკმაოდ დიდი რაოდენობა (139 აქტივობიდან 60 აქტივობაზე ახალგაზრდობის სააგენტო იყო პასუხისმგებელი). ხოლო, სააგენტოში ამ ეტაპზე არსებული ადამიანური და ფინანსური რესურსი აღნიშნული აქტივობების 100%-ით განხორციელებისთვის არასაკმარისი აღმოჩნდა. ასევე, I და II კვარტალში ყველაზე დიდი ადამიანური და ფინანსური რესურსი დაიხარჯა სააგენტოს ყველაზე მასშტაბური პროექტის- შაორისა და ანაკლიის ახალგაზრდული ბანაკების განხორციელებაზე, მათ შორის იყო გაუთვალისწინებელი ხარჯებიც, ასევე საჭიროებიდან და პრიორიტეტულობიდან გამომდინარე დაიგეგმა ისეთი აქტივობები (მაგ. ახალგაზრდული ბანაკი ომის შედეგად დაზარალებული უკრაინელი ახალგაზრდებისთვის), რომელთა განხორციელებაც სამოქმედო გეგმით არ იყო გათვალისწინებული, რამაც სხვა აქტივობებზე გათვალისწინებული ბიუჯეტი დიდწილად შეამცირა.
- მნიშვნელოვანი გამოწვევა აღმოჩნდა ამოცანის შედეგის ინდიკატორებთან მიმართებით ინფორმაციის არარსებობაც. აღსანიშნავია, რომ ამოცანის შედეგის 33 ინდიკატორიდან მხოლოდ 8 ინდიკატორზე მოიპოვება ინფორმაცია საანგარიშო წლისთვის, რაც განპირობებულია იმით, რომ ინდიკატორების დიდ ნაწილზე საბაზისო მაჩვენებელად განისაზღვრა მონაცემი კონკრეტული წლის კონკრეტული კვლევიდან, ხოლო აღნიშნული კვლევა საანგარიშო წლისთვის ხელმეორედ აღარ ჩატარებულა. სტრატეგიის განხორციელების პროგრესის გაზომვის მიზნით, მიზანშეწონილია

ხარისხიანი კვლევების განხორციელება ყოველწლიურად და მსგავსი მეთოდოლოგიით. ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ 2.2, 2.3 და 2.5 ამოცანაში წარმოდგენილ აქტივობებზე პასუხისმგებელი უწყების შესაბამისმა ქვედანაყოფმა არ წარმოადგინა წლიური სტატუსანგარიში, ახალგაზრდობის სააგენტოს მხრიდან შეუძლებელი გახდა ამოცანის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი რისკების განსაზღვრა.

- ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება პასუხისმგებულ უწყებებში ახალგაზრდული საკითხების არაპრიორიტეტული ხასიათი, ასევე არ არსებობს ახალგაზრდული საკითხების ,,მეინტრიმინიგის" გზამკვლევი. უწყებების მხრიდან შემოთავაზებული აქტივობების დიდი ნაწილი პროცედურული ხასიათისაა და არ გულისხმობას ახალგაზრდებისთვის დამატებითი ადამიანური თუ ფინანსური რესურსის გამოყოფას ან თუნდაც არსებულის ახალგაზრდებისკენ მიმართვას. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდული სტრატეგია მულტისექტორულია, აქტივობების დიდი რაოდენობის განხორციელება უწევს მაკოორდინირებელ უწყებას, რაც მის რესურსებს აღემატება. რეკომენდირებულია პასუხისმგებელ უწყებებში ახალგაზრდულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლება, რაც ახალგაზრდული საკითხების ,,მეინტრიმინიგის" გზამკვლევითა და მასზე დაფუძნებული ტრენინგით არის შესაძლებელი.
- ასევე, ანგარიშში გამოიკვეთა გამოწვევები, რაც მე-2 მიზნის (ახალგაზრდების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაძლიერება) 2.2, 2.3 და 2.5 ამოცანებს უკავშირდება. ამ მიმართულებით აქტივობების დიდი ნაწილის განხორციელება 2023 წლის განმავლობაში არ დაწყებულა, ხოლო 2 აქტივობა, 6 თვის მონაცემებით გაუქმდა. მიზეზების შესახებ პასუხისმგებელ უწყებას ინფორმაცია არ წარმოუდგენია. ასევე, დაბალი განხორციელების დონე დაფიქსირდა 5.1 ამოცანის შემთხვევაშიც, რომელშიც წარმოდგენილ 12-ვე აქტივობაზე პასუხისმგებელი იყო სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო. აქტივობების სრულად განხორციელება სხვადასხვა მიზეზების გამო, მათ შორის, სტრუქტურული ცვლილებების, ადამიანური და ფინანსური რესურესების ნაკლებობის გამო 2023 წელს ვერ მოხერხდა. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად რეკომენდირებულია ახალგაზრდობის სააგენტოში არსებული მუნიციპალური მიმართულების გაძლიერება.

დანართი 1- *,,სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-ის" 2023 წლის სამოქმედო გეგმის ერთწლიანი (იანვარი-დეკემბერი) კონსოლიდირებული სტატუსანგარიში*